

# მარცხენა სამარცხენა

ISSN 1987-8729



სამარცხენა-სამარცხენა ჟურნალი

№11 (79), 6 ივნისი, 2017

**VALTRA**

YOUR WORKING MACHINE

**MACHINE OF THE YEAR 2016**

**TRACTOR OF THE YEAR 2016**

ვინერი კომპანია **ვალტრას**  
შე-4 თაობის ტრაქტორები - სასოფლო-  
სამეურნეო, საგზაო-კომუნალური და  
სამშენებლო სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

წარმომადგენელი საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge  
+ 7 905 50 00 + 7 18 18 81

**AGCO**  
Your Agriculture Company



GASPARDO

საუკეთესო თქვენი გაღისა და ვენახებისთვის

## DELFINO DL დელფინი დლ

საბალე-სავენახე ვერტიკალური ფრეზი  
სამუშაო სიგანე: 130 სმ / 150 სმ / 180 სმ / 200 სმ



## VITA 3061

საბალე-სავენახე მულჩერი  
აქცენტებს ბალაბს და ტოტებს 6 სმ-ის დიამეტრამდე  
სამუშაო სიგანე: 120 სმ / 140 სმ / 160 სმ / 180 სმ



წარმომადგენლი საძაროველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge E-mail: info@worldtechnic.ge  
☎ 2 90 50 00; 2 18 18 81

## ორგანიზაციის მიერთება:



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატივო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

ნოემბერი, 2017 წლის

№11 (79)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარეშვილი (ძირ. რედაქტორი),  
ნუშავარ ებანოძე, რეზენ ჯაბაშვილი, მიხეილ  
სოხნაძე, თამაძე სანიიძე, რუსულან გიგა-  
შვილი (ქარსელისტი), ოფიცია ნოზაძე,  
ნოდარ ბრეგვაძე, გეგა გიგალია, გორგო  
ბარისმალი (ქუჩაჭაბა-ქლიფერისტი), რეზუ-  
ფიას რედაქტორი), დავით ბირუაძე (რედაქტორი),  
თამა გუგუშვილი (მეცნ. კურს. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საჭირო:

აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რეპარ მახარაძელი (თავმჯდომარე),  
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე, ნოდარ  
ჩხარტიშვილი, ნუშავარ განინიძე, პატარა  
კოლეგიალი, ელგუჯან გამაქიძე, შოთა ჭა-  
ლაგანიძე, ზვარა ბრეგვაძე, კლგუჯა გუგუშვი-  
ლი, გოგიარ მერგვალია, აა გულაძა, გ  
ულავაშვილი, უჯამაჯურიძე, ზაურ ჯულუხიძე,  
ზურაბ ჯიხვეთაძე, ქიანსტო კანიაშვილი,  
ადოლ ტექსტურებილი, ნატო კაკაბაძე,  
ქუმურა ქერია, კახა ლაშვი, ჯამბა კაციტაძე,  
ნუშავარ მედინიშვილი, ნიკოლა ზანაშვილი,  
მიხეილ ჭატაშვილი, დავით ბოსტაშვილი, იოსებ  
სარჯველაძე, ნუშავარ სარჯველაძე, თემებ  
ეკრანშვილი, ანატოლი გორგაძე, ლევან  
თორილაძე, ზურაბ ლოლაძე, კობა კობალაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agricultural Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კუნძულებური  
კიბირისტიუმების კლევითი ცენტრი „რეგიონება“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ივერიიელი“  
(კოფერენციული ბიბლიოთეკა)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გორგო მაისურაძემ  
უფროდი ხელმძღვანელობის  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with the  
principles of free press.  
© საავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბჭიდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)

## ორგანიზაციის მიერთება:



7

## ესტონეთში არ არის უაუგავრობა

რესპუბლიკაში საშუალო წელია-  
დობა 9429 ლ რძეა წელიწადში. ამ  
მაჩვენებლით ესტონეთი ევროპაში  
მხოლოდ დანიას ჩამორჩება.



9

## რზონირებული წყალი, როგორც ვასი დაკავებაზე გრძელის ყველაზე ეფექტური საშუალება

ცნობილია მათი ანტიბაქტერიული  
მოქმედებაც, ორივე ეს ნივთიერება  
დაუნდობლად ანადგურებს ბაქტერი-  
ას, სოკოს და ყველა მავნე მიკროორ-  
განიზმს, მათ შორის, იმ დაავადებათა  
ბაქტერიებს და ვირუსებს, რომლი-  
თაც სასოფლო სამურნეო კულტუ-  
რები ავადდება.



19

## საქართველოში მოწოდების ინდუსტრიული განვითარების კასარებივაჲი, კრონლეხები და მათი გადაწყვეტის გზები

ამ კულტურების გავრცელების  
არეალი თანხვდენილია. უფრო მე-  
ტიც, სუბტროპიკული ხურმა შესა-  
ლებელია გაშენდეს ჩაის პლანტაცი-  
ებში როგორც ამავე დროს დამრჩდი-  
ლავი მცენარე.

ინოვაციები დაფუძნებული,  
სოციალურად მრიენილებული  
4 სოფლის განვითარება

12

## საერთაშორისო სამაცნეორო კონფერენცია

ჩაის ახალი ალაციაციების  
გაზიარებაზე დროულად უდია  
ვიზურები

25

## გაეთი კითხვა აგრონომთან?

25

როცა ვებარისერობა ავირისი,  
ეს საეპილობა არაულარები  
არ იყოთ

26

## სადოროება ვებაზოდიას წარმატებას განვითოებას

27

## გაეთი კითხვა ვებარისერობა?

28

გაერთიანების განვითარების  
კასარებივაჲი საერთაშორისო

29

გათვალისწინებული გამოწვევების  
რეზერვების შესახებ

31

## ფინანსები

კარა ჩვეულებები და

32

იზალიანი FOENICULUM  
VULGARE MILL.

34

## მურალი ხევი

# ინოვაციური დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული სოფლის განვითარება

გადატვირთული დედაქალაქი, განუვითარებელი სოფლი, უცხოთში სამუშაოდ გადახვევილი მოსახლეობა, არასასურველი დამოგრძაფიული პერსაპატივა (რაც მეგვიზრეობა), თარმოაღმარენ პროგლემებს როგორ-თა გადაჭრასაც ძვირის სასიცოცხლო მიზანებისგა არავ. აღნიშნულ პროგლემათა გადაჭრის გზა ეკონომიკურად ძლიერი პარენის შემავაზე გა-დის. იმ ჩესურსებიდან პი, რომელთაც განსაკუთრებული ცვლილი უდაბის შემთავრება აა უარისებელობას საქმეზ, მიზის რესურსებისა. თუ როგორ ეფექტურადა გამოყენებული აღნიშნული ჩესური, მეტყველებს ეკონო-მიკური კვლევის ცენტრის შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: სოფლის მუშაობის დარჩე, სადაც მოსახლეობის 50%-ია დასაქმებული, მთლია-ნი შეიძარულების მიზანი 4%-ია.

## ცოდნისა შემდეგიც და

## სავალალო სტატისტიკაც:

- 1 ამერიკელი ფერმერი 79 თანამო-ქალაქეს კვებავს;
- ევროპელი სამუალოდ – 67-ს, რუსი 15-ს;
- ხოლო ქართველი – 0,85-ს, ე.ი. თა-ვის თავსაც ვერ ირჩენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოვახდენ ქვეყნის წინაშე არსე-ბული პრობლემების კლასიფიკაცი-ას, თავისი აქტუალობის მიზედვით, სოფლის განვითარება უნდა იქცეს მთავარ გამოწვევად, რადგან მისი გადაჭრა საფუძველს დაუდებს სხვა მრავალი პრობლემის მოგვარების პროცესს და ქვეყანა დაადგება კრი-ზისიდან გამოსვლის გზას.

## პროგლების ანალიზი და

## მისი გადაჭრის

## შემოთავაზებული მიღებობა

როდესაც ვლაპარაკობთ სოფლის განვითარების პრობლემის გადაჭრა-ზე, საჭიროა აიხსნას პრობლემის წარ-მოშობის მიზეზები, საიდანაც უმთავ-რესი საბჭოთა პერიოდში სოფელში არსებული გლეხური მეურნეობების ბაზაზე (მათი სურვილის მიუხედავად) შექმნილი საბჭოთა კოლმეურნეობებია, რომლებიც განვითარდა გეგმიუ-რი (არა საბაზრო) ეკონომიკის პირო-ბებში და საბჭოთა კავშირის არსებო-ბის ბოლო პერიოდში დიდი საბჭოური კორუფციული სისტემის ნაწილი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემ-

დგომ, ზემოთაღნიშნულის მიუხედა-ვად, სწორი რეფორმების შემთხვევა-ში არსებობდა ყველანაირი რესურსი, რათა არსებული საგალალო მდგომა-რეობა თავიდან აგვეცილებინა, თუმ-ცა, გადატრიალების შედეგად მოსუ-ლი ხელისუფლების პირობებში, რო-მელმაც ძარცვას და ქურდობას „პრი-ვატიზება“ დაარქვა, განიავდა კოლ-მეურნეობების ბალანსზე არსებული ყველა რესურსი, გაიძარცვა საბჭო-ური ტექნილოგიებით აღჭურვილი, თუმცა, მომუშავე გადამტუშავებელი მრეწველობა, რის შედეგადაც მივი-ღეთ სოფლები, სადაც დასახლებუ-ლია გაღატაკებული, უმოტივაციო მოსახლეობა დაქუცმაცებული, გა-ნუვითარებელი ოჯახური მეურნეო-ბებით (ამჟამად იწოდებიან, როგორც ფერმერული მეურნეობები).

ასეთი „რეფორმის“ შედეგად სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საბჭოთა პერიოდთან შე-დარებით, ქვეყნის დამოუკიდებლო-ბის აღდგენის პირველ ათწლეულში 2-ჯერ შემცირდა, 2004-2012 წლებში კი – კიდევ 2-ჯერ, რაც მაშინდელი ხელისუფლების მიერ სოფლის მე-ურნეობის სრული იგნორირებით, ბე-დის ანაბარად მიტოვებით უნდა აიხ-სნას (ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის დაფინანსებით ბოლო ადგილზე ყიყავით მსოფლიოში, ქვე-ყანაში იწარმოებოდა ადგილობრივი მოხმარებისთვის საჭირო სასურსა-თო პროდუქციის 1/3, ექსპორტ-იმ-პორტის თანაფარდობა იყო 1:5).

დადებითად უნდა ჩაითვალოს, რომ შემდგომმა ხელისუფლებამ დაინახა სოფლის განვითარების პრობლემის აქტუალობა და სხვადასხვა დახმა-რებებისა და პროგრამების მეშვეო-ბით ეცადა სირთულეების მოგვარე-ბას, რამაც მდგომარეობის გამოს-ნორების გარკვეული ტენდენციები გამოავლინა, თუმცა, ბუნებრივია, ამდენად შორს წასული სატკივარის გადაჭრა ამ მიზანებით ვერ მოხერ-ხდებოდა და შესაბამისად დღის წე-რიგში დადგა სრულიად ახალი მიდ-გომის აუცილებლობა.



მიგვაჩნია, რომ გამოსავალი პრობლემის გადაჭრისა ინოვაციებზე დაფუძნებული, სოციალურად ორიენტირებული, მრავალპროფილიან საწარმოებზე ბაზირებული კვების მრეწველობის ორგანიზებაშია, რომელიც ადგილობრივი სანედლეულო რესურსებიდან უზრუნველყოფს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებას. ასეთი მიდგომის შედეგად ქვეყანა გახდება „მწარმოებელი“ და არა „მომხმარებელი“, როგორიც ამჟამადაა.

თანმიმდევრობით გავაანალიზოთ აღნიშნული ფორმულირებები: 1. ინოვაციებზე დაფუძნებული;

2.მრავალპროფილიან საწარმოებზე ბაზირებული;

3.სოციალურად ორიენტირებული.

1. ქართული გადამშუავებელი მრეწველობის განუვითარებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ „მისი ექსპორტი ვერ ასცდა დვინისა და მინერალური წყლების წარმოებას“, ანუ წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნების თვალსაზრისით ჩვენი მრეწველობა ძალიან დარიბია. ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის კლიმატური პირობები შესაძლებლობას ქმნის ამ თვალსაზრისით ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან შედარებით მოწინავე ვიყოთ.

საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სასაქონლო სახით ჩამოუვარდება უცხოურს, თუმცა, შესაძლოა ეკოლოგიური, ბიოქიმიური და ორგანოლეპტიკური თვისებებით უმჯობესიც კი იყოს, რაც განპირობებულია ქვეყნის კლიმატური პირობებით. ამასთან გვაქვს ბუნებრივი სასუქების მნიშვნელოვანი რეზერვი, რაც ბიოაგრო წარმოებაზე და ბიომრენელობაზე გადასვლის კარგ პირობას ქმნის.

როცა ვლაპარაკობთ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე და ეპროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეერულების ეფექტიანად გამოყენებაზე, ვფიქრობთ განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე უკვე არსებული პროდუქტების წარმოებით „შორს ვერ წავალთ“, ამიტომ უმნიშვნელოვანესია გამოვიყენოთ ჩვენთან წარმოებული საოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზემოაღნიშვნული უბირატესობა და თანამედროვე ტექნოლოგიებით ვაწარმოოთ ინოვაციური



ე.ნ. „ჯანმრთელი პროდუქტები“, რომელიც ორგანოლეპტიკური, ეკოლოგიური, სამკურნალო-დიეტური და ორიგინალური მიმზიდველობით დააკამდინილებს ევროპელი და ამერიკელი მომხმარებლის მოთხოვნასა და ინტერესს.

ამ მიზნით ჩვენ დავამუშავეთ რამდენიმე ახალი პროდუქტი, რომლებიც ინარმოება ადგილობრივი ნედლეულიდან და წარმოადგენს ინოვაციებს: მეხილეობაში, მეჩაიეობაში, მევენახეობაში, აგრეთვე დაფინის წარმოებაში (რამდენიმე მათგანი დაპატენტებულია გამოგონებაზე).

მეხილეობაში შექმნილი ინოვაციური პროდუქტია ფორმირებული მშრალი ხილი, რომელსაც შიგთავსის სახით ემატება: თხილი, კაკალი ან სხვა ნატურალური დანამატი; მევენახეობაში შექმნილია ე.ნ. უძაფო ჩურჩელა (პროდუქტის წარმოებისას გამოირიცხება კაკლოვანთა ძაფზე აცმის შრომატევადი პროცესი, ხოლო სამკურნალო-დიეტური თვისებების გაუმჯობესების მიზნით ცომეული ჩანაცვლებულია ნატურალური, ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე დანამატებით; მეჩაიეობაში შექმნილია ახალი სახის ე.ნ. ელიტური, ყვავილოვანი ჩაის სახვადასხვა ვერსიები, რომელთაც ორგანოლეპტიკურ ღირსებებთან ერთად აქვს ძალიან ეფექტური მიმზიდველი სასაქონლო სახე; ვაკუუმური ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებულია ე.ნ. გლუვზედაპირიანი, მწვანედ გამშრალი დაფნა, რომლის ამერიკული ანალოგები დაფასოებული მინის ქილებში 4 გ 5\$-ია.1კგ.

შექმნილია ასევე ახალი პროდუქტი ე.ნ. „სწრაფხსნადი ტყემლის საწებელი“ (ტყემლის საწებლის მშრალი კონცენტრატი). სიახლე წარდგენილია გამოგონებაზე საქპატენტში. ტრადიციული მეთოდებით მიღებულ პროდუქტთან შედარებით, ახალი პროდუქტის უპირტესობაა ის, რომ ხარშვა, როგორც არასასურველი ტექნოლოგიური პროცესი, ჩანაცვლებულია შრობით (ვაკუუმური ან სუბლიმაციური), რის შედეგადაც პროდუქტი მარტო ორგანოლეპტიკურად კი არა, ბიოქიმიური შემადგენლობითაც უმჯობესდება და საერთოდ გამოირიცხება შენახვის ვადის გამახანგრძლივებული კონსერვანტების გამოყენება. პროდუქტი ფხვნილის სახით იფუთება ერთჯერად პაკეტებში, მცირდება ტრანსპორტირების ხარჯები.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ახალი სახის პროდუქტების ლაბორატორიული ნიმუშებითაც კი გამოვიწვიეთ დაინტერესება აშშ-ში, გერმანიასა თუ ლიტვაში.

2. ჩვენი ფერმერული მეურნეობები უცხოელთაგან განსხვავებით მრავალი სახის პროდუქციას ანარმოებენ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ნანილი მალფუჭადია, რაც ამცირებს მის სარეალიზაციო პერიოდს და ფერმერი იძულებულია წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია განახორციელოს ოპერატორულად და, შესაბამისად, დაბალ ფასად. ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ე.ნ. მრავალპროფილიანი საწარმოების ორგანიზებით, რაც საშუალებას მისცემს ფერმერებს ოპერატიულად შეძლონ ყველა სახის პროდუქცი-



ის რეალიზაცია, რომელსაც ისინი სეზონზე აწარმოებენ. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ცვალებადი კლიმატის პირობებში მიზანშეწონილი არ არის ჩვენი ფერმერები მხოლოდ ერთი სახის პროდუქციას აწარმოებდნენ. ამასთან, შეძლებენ მოსავლის აღების შრომატევადი პროცესი მთელ სეზონზე გადაანაწილონ, თავიდან აიცილონ სიმძლავრების მოცდენა და მუშახელი პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში ჰყავდეთ დასაქმებული.

**3. ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს, უმოკლეს ვადაში მოგვარდეს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია სოციალურად ორიენტირებული გადამუშავებელი მრენველობის ორგანიზებით, ანუ ეკონომიური თვალსაზრისით ისეთი აგროსამრეწველო სისტემის ჩამოყალიბებით, რომელიც დააინტერესებს ფერმერს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით გააფართოს მეურნეობა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის ინტერესი გათვალისწინებული იქნება წილის სახით იმ მოგებაში, რომელიც მიიღება ზემოთაღნიშნულ მრავალპროფილიან საწარმოში გადამუშავებული პროდუქციის რეალიზაციის შეძლებაში შეიქმნება ე.წ. მეწარმე ფერმერების კატეგორია, რომლებიც მოტივირებული იქნებიან გააფართოონ თავიანთი მეურნეობა და, შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესონ სოციალურ-ეკონომიკური პირობები.**

### შემოთავაზებული ახალი მიდგომის პრაქტიკული რეალიზაციის ორ ვერსიას განვიხილავთ:

I სოფლად ფუნქციონირებად ფერმერულ მეურნეობებს ვთავაზობთ გაერთიანდნენ გამსხვილებულ კო-ოპერატივებში (სიდიდისა და რესურსების მიხედვით კოოპერატივში შეიძლება გაერთიანდეს 1,2,3 ან რამდენიმე სოფელი) და ფინანსური დახმარებების ნაცვლად ვთავაზობთ ზემოაღნიშნული მრავალპროფილიანი საწარმოს ორგანიზებას, რომელიც მათი საკუთრება იქნება, ანუ ვთავაზობთ ე. წ. აგროფირმის ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ნედლეულის წარმოებას, ასევე მის გადამუშავება-რეალიზაციას. პროდუქციის რეალიზაციის შეძეგად მიღებული მოგება ნაწილდება ფერმერებზე ჩაბარებული ნედლეულს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. მოგების წილი განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელსაც აფორმებს ფერმერი კოოპერატივთან.

აგროფირმას მართავს ფერმერების მიერ ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული მეურნეობით თავის აპარატთან ერთად, რომლის მუშაობის მონიტორინგს ახორციელებს ფერმერების მიერ არჩეული სამეთვალყურეო საპროცესი, აგრეთვე ერთ-ერთი მეურნეობის მიმდევარი რასაც ქვეყნის „დეთავკომბალიზაცია“ ჰქვია, ანუ განიტორთება დედაქალაქი.

II მეორე ვერსიის მიხედვით ვთავაზობთ ე. წ. მუნიციპალური მრავალპროფილიან საწარმოების ორგანიზებას, რომელიც ფერმერებთან აფორმებს ხელშეკრულებას მათ მიერ წარმოებული საოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდებაზე. ფერმერების მოტივირება ამ შემთხვევაში ხდება მოგებიდან გარკვეული წილობრი-

ვი უზრუნველყოფით ან პრემიალური წახალისებით. დარგის კრიზისიდან გამოყვანის შემდეგ შესაძლებელია განხორციელდეს უკვე მომგებიანი საწარმოს პრივატიზება.

შემოთავაზებული ეკონომიკური მიდგომების პრაქტიკული რეალიზაციის შეძეგად ქვეყნის რეგიონები „დაიფარება“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მრავალპროფილიანი საწარმოების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან აწარმოებენ ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე, სხვადასხვა ახალი სახის, მაღალი კვებითი ღირებულებების მქონე პროდუქტებს, რომელთა რეალიზაციის შეძეგად მიღებული მოგება გადანაწილდება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე.

ადვილი წარმოსადგენია სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, რომელიც მიიღწევა წარმოდგენილი წინადადების პრაქტიკული რეალიზაციის შეძეგად:

1. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილობრივი უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამუშავებელი მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შეძეგად მიღებულ მოგებაში არა მარტო გამოიყვანს მათ ეკონომიკური კრიზისიდან, არამედ გახდის მოტივირებულს, რათა გააფართოონ მეურნეობა კიდევ უფრო დიდი მოგების მიზნით. ანუ ამჟამად დოტაციაზე მყოფი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა გახდება ქვეყნის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების შემომტანი;

2. მრავალი სამუშაო ადგილის შექმნა, რასაც უზრუნველყოფს მრავალპროფილიანი საწარმოების ორგანიზება, განაპირობებს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მასიურ დასაქმებას (მათ შორის ინჟინერების, ეკონომისტების, აგრონომების და სხვა), ხოლო შეძეგად დაინტება უკუმიგრაციის პროცესი, აგრეთვე ერთ-ერთი მტკიცნეული პრობლემა რასაც ქვეყნის „დეთავკომბალიზაცია“ ჰქვია, ანუ განიტორთება დედაქალაქი.

3. ყოველივე ზემოაღნიშნულის შეძეგად სოფლად განვითარდება ინფრასტრუქტურა, შეიქმნება გასართობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, რაც კიდევ უფრო

გაზრდის მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას;

4. გაიზრდება ექსპორტი, შემცირდება იმპორტი, რაც დადგებით გავლენას მოახდენს ეროვნული ვალუტის გამყარებაზე;

5. ეკონომიკურად მდგრადი, აგრო-სამრეწველო სისტემის ჩამოყალიბება შექმნის წინაპირობას ეფექტურად იქნას გამოყენებული ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი სამეცნიერო პროდუცია.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნობილი მეცნიერის, ბატონ რამაზ გახოვისის მიერ შექმნილ ბიოენერგო-აქტივატორს – ბიორაგს, რომელსაც მრავალმხრივი დადებითი თვისებებით ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. იგი ყოველგვარი მინერალური სასუქების, ჰესტიციდებისა

და შხამქიმიკატების გამოყენების გარეშე უხვ მოსავალთან ერთად იძლევა შესაძლებლობას დამზადდეს ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი კვებითი ღირებულებისა და ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუცია. აქედან გამომდინარე, მისი გამოყენებით წარმოდგენილი ინოვაციური პროდუქტები შესაძლებელია ვანარმოოთ როგორც ორგანული (ბიო).

ამით მიგადნებთ იმსა, რომ სიტყვა „ქართული“ გახდება ბრენდი, ასოცირებული „ჯამრთელ“ კვებასთან. აღნიშნულის შედეგად წარმოებული პროდუქცია გახდება კიდევ უფრო პოპულარული და ძვირადღირებული უცხოურ ბაზარზე;

6. ქვეყანაში „ჯამრთელ“ კვების პროდუქტების წარმოება დადებით გავლენას მოახდენს ტურიზმის განვითარებაზე;

7. სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუმჯობესება გამოიწვევს კრიმინალის შემცირებას, მოსახლეობის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე დამატებით სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებების გატარებით შევძლებთ მოვახდინოთ დემოგრაფიული კატასტროფის პრევენცია.

შემოთავაზებული ახალი მიდგომის ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით მიზანშერინილად მიგვაჩნია საწყის ეტაპზე საპილოტე პროექტის განხორციელება და მაღალი ეფექტის მიღების შემდეგ მისი ფართო მასშტაბით დანერგვა.

**ვითავი გუაშავრია,  
ინიციერ-გამომგონებელი**

## ესტონიი შთაგაზდილებაზე

# ესტონეთი არ არის უმუშევრესი

საზღვარგარეთ მოგზაურობის შემთხვევაში გაზიარება საზღვარებრივი არის და გარკვეული წილი სასარგებლობი და თუ ეს ვიზიტი საქმიანია, კიდევ უფრო არ მოეპოვება მსოფლიოში. იგი ყოველგვარი მინერალური სასუქების, ჰესტიციდებისა

მიმდინარე წლის 2 ოქტომბრიდან 9 ოქტომბრის ჩათვლით შპს „კავკასიის გენეტიკის“ (ხელმძღვანელები გ. ხატიაშვილი და თ. ქ.ჩაშვილი) ეგიდით და ესტონური მხარის მიწვევით, მეცხოველე ფერმერთა გარკვეულ ჯგუფთან ერთად ვიმყოფებოდი, ესტონეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მეცხოველეობის კათედრის სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის ბაზაზე სემინარ-საკვალიფიკაციო კურსებზე მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმერული მეურნეობების მენეჯმენტისა და კვების თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების საკითხებში.

თვითმფრინავი ბალტიისპირეთის მიწაზე ტალინის დროით დილის 10 სთ-სა და 20 ნო-ზე დაემვა. აეროპორტიდან გამოსვლისთანავე იგრძნობა, რომ მოხვდი მონესრიგებულ და დალაგებულ ევროპულ ქვეყანაში. იმ დღესვე უნივერსიტეტის პროფესორებმა ჩაგვიტარეს პირველი სემინარი და გაგვაცნეს ესტონეთის

მეცხოველეობის მდგომარეობა. სემინარიდან გაირკვა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგ ეს ქვეყნაც ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მეცხოველეობაც, შესაბამისად, დარ-

ჩა უპატრონოდ და ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო ფერმერული მეურნეობები. გლეხებმა საკუთარი ძალებით თვითონ დაინტეს მსხვილი რქოსანი პირუტყვის მოშენება, თუმცა, ვერ აუდიოდნენ პრობლემებს. ამის შემდეგ ცოტა უფრო შეძლებულმა მეურნეებმა, რომელთაც ჰყავდათ ხუთი, ათი და მეტი ძროხა, თვითონ შეძლეს ერთმანეთში შეთანხმება და გაერთიანდნენ, მიაკითხეს ზემდგომ ორგანოებს თავიანთი პრობლემებით და ნელ-ნელა დაინტეს ერთობლივი



მერძეული მიმართულების ფერმა



### საწველი დარბაზი

ძალებით პრობლემების მოგვარება. მიუხედავად დიდი მცდელობებისა, 2005 წლამდე ქეყყანაში საშუალო წლიური მონაწველი ერთ ფურზე 3000 ლ რძეს ვერ აცდა. 2006 წელს სახელმწიფო მიიღო გადაწყვეტილება და ფერმერთა დასახმარებლად სპეციალური პროგრამა შეიმუშავა. ჩამოყალიბდა 200, 400, 600 და 1000-სულიანი ფერმები. ფურების მდგომარეობა დაცვეს ოთხ ძირითად პერიოდად და ამის მიხედვით შეიმუშავეს ფაზობრივი კვება. თითოეულმა ფერმერმა თავისი ფერმისათვის შექმნა დამიქსერებული, სრულფასოვანი საკვები – TMR. ძირითადი აქცენტი გაკეთდა კვებაზე. ამჟამად შემუშავებულია საკვების რაციონის სპეციალური პროგრამები, რომლებსაც (ცალ-ცალკე ამჟამავებენ სხვადასხვა ფაზობრივ მდგომარეობაში მყოფი ფურისთვის. რაციონის შედგენა ძირითადად ხორციელდება საკვებში არსებული მშრალი ნივთიერების განვარიშებით.

საკვები ერთეული და ენერგეტიკული საკვები ერთეული ესტონეთმა დატოვა XX საუკუნეში. პროგრამაში შეჰყავთ ფურის ცოცხალი მასა, საშუალო დღიური მონაწველი და საკვების მშრალ ნივთიერებაზე გადაანგარიშებით პროგრამა ადგენს საკვების რაციონს.

სახელმწიფო პროგრამის განხორციელება და, შესაბამისად, რძის პრობლემის მოგვარება ესტონელმა ფერმერებმა დაინტერეს ჰოლშტინური ჯიშის ფურუქის შეყვანით და ამჟამად მერძეული მიმართულების ფერმებში ძირითადად აშენებენ სამ ჯიშს: პოლშტინს, ადგილობრივ ჰოლშტინს და ესტონური წითელი ჯიშის ფურუქს. ჰოლშტინის საშუალო წლიური წველადი იქ 10 ათას ლიტრს აჭარბებს,

**ხოლო ესტონური წითელი მას ჩამოუგარდება, საშუალოდ, 600 ლიტრით.**

2016 წლის მონაცემებით ესტონეთში მთლიანად პირუტყვის სულადობა იყო 257 786 სული მსხვილი რქისანი პირუტყვი (მრპ), მათ შორის ფური – 86 593 სული, ხოლო სახორცე მიმართულების მრპ – 30 716 სული. მეხორცული მიმართულების ფერმებში ძირითადად მოშენებული ჰყავთ შემდეგი ჯიშები: ჰერეფორდი, ანგუსი და შაროლე.

რესპუბლიკაში საშუალო წველადობა 9429 ლ რძეა წელიწადში. ამ მაჩვენებლით ესტონეთი ევროპაში მხოლოდ დანიას ჩამორჩება. ქვეყანა მოიხმარს წარმოებული რძის მხოლოდ 40 %-ს, დანარჩენი გადის ექსპორტზე ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ფინეთსა და მცირე ნაწილი გერმანიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშპ-ს (მთლიანი შიდა პროდუქტის) წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე ესტონეთი პირველ ადგილზეა ევროპაში.

დღის პირველ ნახევარში გვიტარ-

დებოდა სემინარები სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის სასწავლო კორპუსში, ხოლო მეორე ნახევარში ფერმებში პრაქტიკებზე დავდიოდით. ვესწრებოდით საკვების დამზადების და კვების, აგრეთვე წველის პროცესებს. წველა ყველა მერძეული მიმართულების ფერმაში დაგეში სამჯერ საწველ დარბაზებში ხორციელდება.

ძალზე შრომატევადია მწველავის შრომა, რომელთაც მიმდინარეობს სამ ცვლაში. მწველავის ანაზღაურება 1000 ევროა, მაგრამ დაქვითვების შემდეგ ხელზე იღებს 720 ევროს. მთელი ქვეყნის მასშტაბით სულ სამ ფერმაში მუშაობს მწველავი რობოტი, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და როგორც ერთ-ერთ მათგანში გვითხრეს, მისი მონტაჟი დაახლოებით 250 – 300 ათასი ევრო ჯდება. ესტონეთში საშუალო ხელფასი 600 ევროა. აქვე დავსძენ, რომ ბაზარი ამ ქვეყანაში არც თუ ისე იაფია, მაგრამ, როდესაც ოჯახში დასაქმებულია 3 პირვენება და შესაბამისად ოჯახის შემოსავალი 2000 ევროა, იგი უკვე უზრუნველყოფილია. ესტონეთში ყველაზე თვალშისაცემია ის, რომ არ არის უმუშევრობა. დღეს თუ გაუჩნდება ადამიანს მუშაობის სურვილი – ხვალვე დასაქმდება.

ესტონეთში პირუტყვის კვებაში პროტეინის ძირითად წყაროს წარმოადგენს რაფსის კულტურა, რომელიც მოჰყავთ საკვებმწარმოებელ ფერმერებს და შემდეგ აბარებენ რაფსის გადამამუშევებელ ქარხანაში (იგი ერთადერთია ქ. ტარტუს გარეუბანში, მთელს ბალტიისპირეთსა და ფინეთში). ეს ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს 140 ათას ტონა რაფსის მარცვალს და ამზადებს შროტს და რაფსის ზეთს. ამ პროდუქტს მოიხმარს მთლიანად რესპუბლიკა, აგრეთვე გადის საექსპორტოდ ფინეთში, ლატვიასა და ისრაელში. ისრაელი



ქ. ტარტუს უნივერსიტეტის მუცხოველების სასწავლო კორპუსი

დიდი რაოდენობით მოიხმარს რაფ-  
სის ზეთს, რომელიც სწორედ ესტო-  
ნეთიდან მიეწოდება.

დავათვალიერეთ რესპუბლიკაში  
არსებული ერთადერთი საბუღე სად-  
გური – ელევერი, სადაც ინახავენ 160  
სულამდე ძირითადად მერძეული  
მიმართულების ბუღებს და მცირე  
რაოდენობით მეხორცულ ჯიშებს.  
იქვე არსებობს სპერმის კრიოკონ-  
სერვაციის ლაბორატორია, სადაც  
ხდება სპერმის გაყინვა და ამ გა-  
ყინული სპერმით მარაგდება რო-  
გორც ესტონეთის მრპ-ს ფერმები,  
ასევე ევროპის რამდენიმე ქვეყანა.  
მერძეულ ფერმებში 100 %-ით და-  
ნერგილია ხელოვნური განაყოფი-  
ერება, ხოლო მეხორცული მიმარ-  
თულების ფერმებში 80 %-ით ნარ-  
მოებს ხელზე დაგრილება.

ესტონეთში საკმაოდ მაღალ  
დონეზეა განვითარებული მეღო-  
რეობაც. სამზარეულოც ძირითა-  
დად ღორის ხორცის ნაწარმისაგან  
შედგება, რადგან, მოგეხსენებათ,  
ჩრდილოეთის ქვეყანაა და საჭი-  
როებს მაღალკალორიულ საკვებს.  
ტარტუში იმ ნეზეს უდგას იეგლი,  
რომელიც გასული საუკუნის 30-  
იან წლებში ექსპლუატაციაში ჰქავ-  
დათ 13 წლის განმავლობაში და მის-  
გან მიიღეს 30 ტონამდე ხორცი. ფაქ-  
ტობრივად, როგორც ესტონელები  
ამბობენ, უკიდურესი გაჭირვებისა და  
შიმშილობის წლებში ქვეყანა ღორმა  
გადაარჩინა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ტარტუს უნი-  
ვერსიტეტი ერთ-ერთი უძველესია  
ევროპაში, სადაც ამჟამად სხვადასხ-  
ვა პროფესიას ეუფლება 20 000 სტუ-  
დენტი, ხოლო მათ შორის 200 საქარ-  
თველოდან ნარგზავნილია. ზოოტექ-

ნაროდ, არ სწავლობენ ქართველები)  
და ვუსურვეთ, რომ განსწავლულები  
დაუბრუნდნენ ჩვენ ქვეყანას, რათა  
მიღებული ცოდნა და გამოცდილება  
ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს მო-  
ახმარონ და, საბედნიეროდ, იმათგა-  
ნაც თანხმობა მივიღეთ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგ-  
რძელო, საკმაოდ ნაყოფიერი და  
სასარგებლო აღმოჩნდა ჩემთვის,  
როგორც ამ დარგის სპეციალის-  
ტისთვის, ეს ვიზიტი, ასევე სა-  
სარგებლო იყო მეცხოველე ფერ-  
მერებისთვისაც, რადგან ვთვლი,  
რომ სპეციალისტმა პერიოდუ-  
ლად აუცილებლად უნდა აიმაღ-  
ლოს კვალიფიკაცია და დაეუფ-  
ლოს ახალ ტექნოლოგიებს, რათა  
შემდეგ ეს ყოველივე დანერგოს  
თავის ქვეყანაში. ყოველივე ზე-  
მოთაღიშნულიდან გამომდინა-  
რე, მაღლობა მინდა გადავუხადო  
„კავკასიის გენეტიკას“ და ვუსურ-  
ვო მას ნარმატები, ხოლო მე კი  
ვისურვებდი, რომ სახელმწიფომ  
უფრო მეტი ინტერესი გამოამჟ-  
ღვნოს დარგის სპეციალისტების  
მომზადების სფეროში, რადგან ამ  
ურთულეს დარგს – მეცხოველეო-  
ბას ესაჭიროება მონდომებული და  
კარგად განსწავლული, ძლიერი სპე-  
ციალისტი.

**მოგანაცხადი,**  
**სოფლის მეურნეობის დოქტორი,**  
**სოფლის მეურნეობის სამეცნიე-  
რო-კვლევითი ცენტრი.**



ნეზების ძეგლი ქ. ტარტუში

ნიკური და სავეტერინარო სპეცია-  
ლობა ადგილობრივი მსურველისთ-  
ვის უნივერსიტეტში უფასოა, ხოლო  
არაესტონურებოვანი მსმენელისთ-  
ვის სემესტრი ღირს 8000 ევრო. ჩვენ  
შევხვდით ქართველი სტუდენტების  
ჯგუფს (ამ სპეციალობებზე, სამწუ-

## ეს საინიარასოა


# ოზონირებული ცუალი, როგორც ვაზის დაავადებებთან ბრძოლის უვალაზე ეფექტური საშუალება

მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევრამდე ევროპას ვაზის  
არანაირი დაბავადება არ აცხებდა. ვაზის დაბავადება, ძირითადად, ფი-  
ლოპსერას სახით, ამინიკაში იყო გავრცელებული. საუკუნეთა განვითარ-  
ები ამინიკული ვაზის გავრმა ჯიშა ფილოპსერას მიმართ იმუნიტეტი  
გამოიავშავა, ზოგი კი საერთოდ არ ავადდებოდა მისით. ამითომ ფილოპ-  
სერას არც ამინიკული იცნობდნენ და ცხადია, არც ეპროდენ მას.

ფილოპსერას მავნებლობის სიმძი-  
მე პირველად ამერიკელმა მევენახემ  
თომას ჯეფერსონმა იწვნია. რადგან  
ამერიკული ვაზი მაღალი ხარისხის  
ღვინოს არ იძლეოდა, მან გადაწყვიტა  
ადგილობრივი ჯიშები ევროპულით  
შეეცვალა, ცდა ნარგუმატებელი გა-  
მოდგა. რადგან ჯეფერსონი ფილოპ-  
სერას არ იცნობდა, ევროპული ჯიშის  
ვაზის გახმობა ამერიკის ჰავასა და

ნიადაგს დაპრალა და ფილოპსერა  
ამჯერადაც შეუმჩნეველი დარჩა.

ფილოპსერამ ამერიკიდან ევრო-  
პაში XIX საუკუნის მეორე ნახევრაში  
ჩამოაღწია. ამას ხელი შეუწყო იალ-  
ქნიანი გემბის ორთქლზე მომუშავე  
სწრაფი გემბით ჩანაცვლებამ. ვა-  
ზის კალმის კონებში ჩაბუდებულმა  
ფილოპსერას ნაწილმა სწრაფმავალი





გემბით წარმატებით დაძლია გზა ამერიკიდან ევროპამდე და 1850-იანი წლებიდან ჯერ საფრანგეთის ვაზით მდიდარი რეგიონი, მდინარე რონის ხეობის ვენახები დააზიანა, იქიდან მთელი საფრანგეთის ვენახებს მოედო, შემდეგ კი მეზობელი ქვეყნების ზერებშიც გავრცელდა.

ევროპული ვაზის ეს ამერიკული დაავადება პირველმა მონპელიელმა პროფესორმა უიულ-ემილ პლანშონმა აღმოაჩინა, რომელიც ცნობილი მევენაზის გასტონ ბაზილის თხოვნით მისი ვენახის გამოსაკვლევად მივიდა და თავისი ასისტენტების ბრიგადა მიიყვანა. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი პლანშონი მწერების შესწავლით იყო დაინტერესებული და ფილოქსერა, როგორც მწერი, მისი ინტერესის საგანსაც წარმოადგენდა. პროფესორი პლანშონი მიხვდა, რომ ვენაზის გახმობის მიზეზი ეს საშინელი მწერი იყო და მასთან ბრძოლა სასწრაფოდ უნდა დაეწყოთ, მაგრამ ამას ჯერ საფრანგეთ-პრუსიის ომმა შეუშალა ხელი, მერე კი მეცნიერთა შეუთანხმებლობამ იჩინა თავი, თუ რა გზით ებრძოლათ ფილოქსერას წინააღმდეგ. ბოლოს ძალები გაიყო და მავნებელს ორი ფრონტით შეუტიეს. პირველი, კერძოდ, ქიმიური საშუალებით, გადაწყვიტეს ნახშირბადის ბისულფიდი ფესვებში ჩაესხათ ვაზისთვის და ფილოქსერა დაეხოცათ, ხოლო მეორე წანილმა ფილოქსერაგამდე ვაზის ნერგი ამერიკიდან ჩამო-

ეტანათ, რომელ ობის ახალი ფორმა ჩამოჰყება. ბორდოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ეს პრობლემა ოთხ წელიწადში ყველასათვის კარგად ცნობილი ბორდოს სხარის შექმნით გადაწყვიტეს.

ძირითადად ასეთია ევროპაში ვაზის დაავადებათა გავრცელების და მის წინააღმდეგ შექმნილი „პრეპარატების“ ისტორიის საწყისი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღემდე ვაზის ბევრი დაავადება გაიცნო მსოფლიო მევენაზეობამ, რომელთა წინააღმდეგ მეცნიერებამ ათობით დასახელების შხამქიმიკატი შექმნა, რომელიც მართალია წამა-

ლია ვაზისათვის, მაგრამ სანამლავია ბუნებისათვის, ნიადაგისათვის და ლვინისათვის, იქიდან კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. შექმნილ ვითარებამ აუცილებელია მეცნიერებამ შექმნას და მევენაზეობას შესთავაზოს მცენარის დაავადებათა ერთი ან ორი ისეთი პრეპერატი, რომელიც „პანაცეა“ იქნება ვაზის ყველა დაავადებისათვის. დღეის მდგომარეობით არ ვიცი ამ მიმართულებით მიმდინარეობს თუ არა მუშაობა, მაგრამ ასეთი „პრეპარატი“ კიდეც რომ შეიქმნას, მისი ცხოვრებაში დანერგვა, ალბათ, დიდი პრობლემა იქნება, რადგან შხამქიმიკატების წარმოება დიდი ბიზნესია და ყოველწლიურად ათობით მილიარდი დოლარის მოგებას ტოვებს, ასევე მის წარმოებები მილიონობით კაცია დასაქმებული. ამ მილიარდების დაკარგვას და მილიონობით სამუშაო ადგილის ლიკვიდაციას, ალბათ, არავინ შეურიგდება, ამიტომ უმჯობესია, ზემოდან რისი მიღების იმედიც არ არის, ვეძებოთ ქეემოთ, უკვე გამოგონილთა და შექმნილთა შორის.

დიდი ხნის გამოგონილი და შექმნილია ოზონი და კოლონიური ევრცხლი. ცნობილია მათი ანტიბაქტე-

რიული მოქმედებაც, რადგან ორივე ეს ნივთიერება დაუნდობლად ანადგურებს ბაქტერიას, სოკოს და ყველა მავნე მიკროორგანიზმს, მათ შორის იმ დაავადებათა ბაქტერიებს და ვირუსებს, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო კულტურები ავადდება. როგორც ხედავთ, ყველა დაავადებათა „პანაცეა“ დიდი ხნის შექმნილია, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ჩვენს ხელთა, დარჩა მათი გამოცდა და წარმატების შემთხვევაში, დანერგვა. წინამდებარე წერილით მიზდა გაგაცნოთ ოზონი და, მასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაავადებათა წინააღმდეგ ოზონით ბრძოლის ჩემი შვიდნლიანი გამოცდილება, იქნებ ვინმეს გამოადგეს.

ოზონი აქტიური ჟანგბადია და ბუნებაში ელვის დროს წარმოიქმნება, ხოლო ხელოვნურად ოზონატორების მეშვეობით მიიღება. ოზონი მეცნიერებისათვის 1800 წლიდანაა ცნობილი, მაგრამ მის წარმოებაში არსებულ სიძნელეთა გამო მისი პრატიკული გამოყენება გვიან დაიწყო, დღეს კი ის ყველაზე იაფი და სანარმოებლად ყველაზე ადვილი ანტიბაქტერიული საშუალებაა. ერთი გრამი ოზონის მისაღებად საჭიროა 20-25 ვატი სიმძლავრის ელექტროენერგია, რომელიც საკმარისია მისათვის, რომ ერთ ტონა წყალში არსებული ბაქტერიები გავანადგუროთ.

ოზონი წარმოადგენს მაღალი ოქსიდაციის ძალის მქონე აირს და ცნობილია, როგორც ყველაზე ძლიერი მადეზინფიცირებელი საშუალება. ის სულ მცირე 10-ჯერ ეფექტურია ქლორზე. ოზონი კარგად იხსნება წყალში და მისი დაშლის დრო 22-25 წუთია, ხოლო ჰაერში – 3-4 საათი. აღნიშული დროის გასვლის შემდეგ ოზონი კარგავს ერთ ატომს და ჩვეულებრივ ჟანგბადად გადაიქცევა, ანუ ის როგორც ჰაერში, ისე წყალში არ ტოვებს არანაირ წარჩენ ნივთიერებებს. ოზონს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვს, ამიტომ FDA-ის მიერ 2001 წლის 26 ივნისს ოზონი აღიარებულია, როგორც კვების პროდუქტების შემადგენელი წარჩენილი.

ოზონი სოფლის მეურნეობაში 1900 წლიდან გამოიყენება როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ამაღლების, ისე მისი შენახვის დროის გახანგრძლივების სუკეთესო საშუალება. ცხრასაიანი წლები მსოფლიო მეცნიერებაში რენესანსის წლები იყო, თითქმის ყოველწლიურად გამოდიდოდა სხვადასხვა მაფეზინფიცირებელი და მოსაცვლის გაზრდისა და შენარჩუნებისათვის საჭირო

მრავალი ქიმიური საშუალება, რომელთა ფართო რეკლამირებამ ოზონი ჩრდილში მოაქცია.

2007 წლის ზამთარში ინტერნეტის საშუალებით შევიტყვე ზოგიერთი ინფორმაცია ოზონზე სადაც ის, წარმოდგენილი იყო, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვის დროის გახანგრძლივების, ასევე პლობის ბაქტერიებისა და სოკოების ნინაალმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება. აქედან დაიბადა იდეა, რომ ის აუცილებლად ეფექტური იქნებოდა ვაზის და საერთოდ მცენარეთა დაავადებების მიმართ, რომ მას შეექლო მცენარეთა დაცვის საშუალებები (შენამქიმნატები) შეეცვალა. ამიტომ ათი ძირი საფერის ვაზი, რომელიც სოფელ კუმისში შევნაბადას მონასტრის მეურნეობაში ცდების ჩატარების მიზნით მქონდა გაშენებული, ჩემთვის ოზონის გამოსაცდელ პოლიგონად იქცა. 2016 წლის სეზონის ჩათვლით, შვიდი წლის განმავლობაში, ვაზს სეზონზე 4-5-ჯერ მხოლოდ ოზონირებულ წყალს ვაფრქვევდი და ვაზის არც ფოთოლი და არც ნაყოფი ამ წლების განმავლობაში არანაირ დაავადებას არ შეუწევებია. მიმდინარე 2017 წელს კი ვაზი, საერთოდ არ შემინამლავს. მიუხედავად ამისა ვაზი ისე ჯანმრთელი და ძლიერია, არანაირი დაავადება არ გასჩენია. ძალიან ეფექტურად იმუშავა ოზონირებულმა წყალმა ხეხილზე, პომიდორზე, კიტრზე, ბულგარულ წინაკაზე და სხვა ბისტრეულზე. მიმდინარე წელს გავიჩინე მიმდევრები - კასპას მუნიციპალიტეტის სოფელ ლამისყანის მკვიდრი დავით სოლოლაშვილი, რომელმაც ექსპერიმენტში მეზობლებიც ჩართო. მათ გარდა ვენახისა ოზონირებული წყალი ხეხილზე და ბოსტნეულზეც გამოიყენეს. ოზონმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა კულტურაზე ბრწყინვალე შედეგი აჩვენა. სოფლის მცხოვრებთა ალიარებით ოზონირებული წყალი შენამქიმნატები ბრწყინვალე ეფექტურია. ამიტომ ისინი ოზონს, იმედია, საბოლოოდ დაუმევობრდნენ.

წლებია ოზონირებულ წყალს ფართოდ იყენებს თელველი კახა წულუკიძე, მან თავისი ორჰექტრიანი ვენახი წლების წინ ოზონირებული წყლით შენამვლაზე გადაიყვანა და ყოველწლიურად ათასებს ზოგავს ვენახის მავნებლებთან ბრძოლის საშუალებების შესაძენი თანხიდან. ვფიქრობთ, არიან სხვებიც, რომლებიც რისკის შესაძლებელი არ არიან ვენახის მავნებლების შედეგების გადასაცნობად და მომართობაში მიმდინარე მეურნეობაში მიმდინარე სიახლეებზე ვერავისგან ვერ იღებს ინფორმაციას. სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ინტერნეტზე ჯერაც არ მიუწვდება ხელი, ასევე ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ვერ შეძლო საკუთარი პრესის გამოშვება, მაგრამ ეს იმას ხომ არ უნდა ნიშნავდეს, რომ სოფლის მოსახლეობა საინფორმაციო ვაკუმში ცხოვრობდეს და მსოფლიოს სოფლის მეურნეონაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია არ ჰქონდეს? ამაზე ვინ უნდა ფიქრობდეს, თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო სტრუქტურები?


ოზონის სოფლის მეურნეობაში გამოყენების მსოფლიო პრაქტიკაში საკუთარი გამოცდილებით რომ ავსებენ. ბოლო წლებში ინტერნეტის საშუალებით გავიგე, რომ ევროპაში ბევრი მევენახი მეცნიერი ასევე წლებია მუშაობს ამ მიმართულებით და მაღალ შედეგებს აღწევენ, რაც საბოლოო წარმატების გარანტია იქნება.

დღეს პრობლემას აღარავისთვის წარმოადგენს ინტერნეტში უახლესი ინფორმაციის მოძიება და ამოღება, ანუ იმ ინფორმაციის მიღება, თუ რა მასშეაბებით გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ოზონი და კოლოიდური ვერცხლი. ტექნოლოგია, რომელიც რევოლუციაა სოფლის მეურნეობაში და მოსავლის გაზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უდიდესი რეზერვია, რატომაა ასეთი უცნობი ქართველი მეურნისათვის? საქართველოს ჰყავს მთავრობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დიდი აკადემია, სოფლის მეურნეობის აკადემია. მიუხედავად ამისა, ქართველი მეურნე სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სიახლეებზე ვერავისგან ვერ იღებს ინფორმაციას. სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ინტერნეტზე ჯერაც არ მიუწვდება ხელი, ასევე ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ვერ შეძლო საკუთარი პრესის გამოშვება, მაგრამ ეს იმას ხომ არ უნდა ნიშნავდეს, რომ სოფლის მოსახლეობა საინფორმაციო ვაკუმში ცხოვრობდეს და მსოფლიოს სოფლის მეურნეონაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია არ ჰქონდეს? ამაზე ვინ უნდა ფიქრობდეს, თუ არა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო სტრუქტურები?

მოდით, ორიოდე სიტყვა ჩვენს ბედოვლათობაზეც ვთქვათ: ის ამბავი, რომ ყველანაირ სიახლეს საქართველოში ეჭვის თეალით უყურებენ, არახალია, ძველია. ყველა ფიქრობს,

რომ ჯერ მეზობელმა გამოსცადოს, თუ გაამართლა, მერე ისიც გამოიყენებს, ამ დროს კი ავიწყდებათ, რომ ის მეზობელიც მასავით ბედოვლათია და ანალოგიურად ფიქრობს. ასე გადის წლები და სიახლეს მაშინ ვნერგავთ, როცა ის უკვე მორიგი ახლით იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ოზონს მსოფლიოში დღეს ფართოდ იყენებენ და აქ საეჭვო აღარაფერია, არავინ გთხოვთ, რომ თავიდან ის ჰექტრობით ვენახზე გამოსცადოთ იმისათვის, რომ საკუთარი წარმოდგენა შეგექმნათ მის ეფექტურობაზე, აიღეთ და პირველ წელს 10-15 დირ ვენახზე, 2-3 დირ ხეხილზე და 10-15 დირ ბოსტნეულზე გამოსცადეთ. თუ გაამართლა, მეორე წელს ცდას 1000 კვადრატული მეტრი დაუთმეთ, მესამე წელს უფრო მეტი და ა.შ. ამასთანავე ნუ დაგავიწყდებათ, რომ ოზონირებულ წყალს მსოფლიო სოფლის მეურნეობა დიდი ხანია იყენებს. ამის დასტურის მოძიება ინტერნეტში შეგიძლიათ, ამიტომ საკუთარ ექსპერიმენტებს წლებს ნუ მოანდომებთ, დაუჯერეთ მსოფლიო გამოცდილებას.

ვიდრე პირადად გამოცდიდეთ და ნახავდეთ, რა სარგებელს მიიღებს მეურნეოზონის სოფლის მეურნეობაში ფართოდ დანერგვით, მინდა იმის მაგალითი გაჩვენოთ, ვენახის შესანამდიმიკატის ოზონირებული წყლით ჩანაცვლებით რა სარგებელს ლებულობს მეურნე: დღეს სეზონზე ერთ ჰექტარ ვენახს 2-3 ათასი ლარის შესამქიმიკატი ესჭიროება. მიუხედავად ასეთი თანხის გადახდისა, არავინაა გარანტირებული, რომ შესამქიმიკატი ხარისხის შეგხვდა, სასისარულო არაფერია. მართალია, ვენახის მიღების შემთხვევა ...). თუ გაგიმართლა და შესამქიმიკატი ხარისხიანი შეგხვდა, სასისარულო ამ შემთხვევაშიც ბევრი არაფერია. მართალია, ვაზი დაავადებას გადაურჩება, მაგრამ შენი კანი და სასუნთქი გზები გადაურჩება თუ არა ამ შესამის





მავნე ზემოქმედებას, სათუოა. ისეთ ოზონატორს კი რომელიც ჰქექტრობით ვენახს მოემსახურება, ჯავასიშვილის უნივერსიტეტში შექმნილ სამეცნიერო-კვლევით ცენტრ „ველი-მისიონ“-ში 500-600 ლარად ამზადება (ფასი სიმძლავრეზეა დამოკიდებული). თუ გავითვალისწინებთ, რომ ოზონატორის სამსახურის დრო, რამდენიმე ათეული წელია, გამოდის, რომ ვენახსის სამკურნალო ოზონირებული წყალი ოზონატორის მფლობელს უფასო ექნება. ამასთანავე, ოზონით ვაზის დამუშავებით ვიღებთ ბიოლოგიურად სუფთა ყურძენს და მისგან ბიოლოგინოს, ასეთი დვინო კი ძვირად ფასობს. ოზონის გამოყენებით არ ბინძურდება ნიადაგი და ბუნება, ეს კი ფასდაუდებელი განძია. ასე რომ, ჰქექტარი ვენახსის ოზონით დამუშავებით ყურძნის თვითლირე-

ბულება 2000 ლარზე მეტით, ანუ საშუალოდ 40%-ით მცირდება. ასეთივე მოგება შეუძლია მიიღოს ყველა მებალემ, რომელიც შხამქიმიკატს ოზონით ჩაანაცვლებს და მას ბოსტნეულის, ბალჩეულისა და ხილის ბალების შესანამდლად გამოიყენებს. ასე რომ, ოზონს მთელი მსოფლიო დიდი ხანია იყენებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და აქ საეჭვო აღარაფერია, ამიტომ დაზოგეთ ფული, საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობა, დაივინწყეთ შხამქიმიკატი და ფართოდ გამოიყენეთ ოზონი.

როგორც ხედავთ, გარდა კეთილი რჩევისა და საჭირო ინფორმაციის მოწოდებისა, მე სხვას არაფერს არ ვიძლევი და რა თქმა უნდა არც თქვენგან არაფერს ვითხოვ, არც ოზონატორების წარმოება მაქვს და არც ოზონატორებით ვვაჭრობ. ასე

რომ, ჩემი დაინტერესება ამ საქმეში საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის გაძლიერების სურვილითაა ნაკარნახევი და არა მერკანტილური მოსაზრებებით. ამიტომ შეიძლება ამ რჩევებს დაუფიქრებლად ენდოთ.

როგორც აღვნიშნე, ევროპელი მევენახე წლებია ბიოლოგინოს ანარმოებს, ასევე ვაზის შესანამდლად შხამქიმიკატის მაგიერ ვაზის ოზონით დამუშავება დაიწყო და ბიოლოგიურად სუფთა ყურძენი მოჰყავს. არის ინფორმაცია, რომ საქართველოს რამდენიმე ღვინის ექსპორტიორ ფირმას უკვე შეექმნა პრობლემა ღვინის ექსპორტზე, ამიტომ შორს აღარაა ის დრო, როცა ღვინის ბევრი იმპორტიორი ქვეყანა და, კერძიდ რუსეთი, საკანონმდებლი დონეზე აკრძალავს შესამქიმიკატებით შენამლული ვაზიდან დაყენებული ღვინის იმპორტს, ამიტომ ამისთვის მზადება როგორც ქართულმა მევენახეობა-მელვინეობამ, ისე ხელისუფლებამ დღესვე უნდა დაიწყოს. რაც შეეხება საკითხის მეცნიერებულ მხარეს, უსახსრო ქართველი მეცნიერები ევროპელებს არაფერში ჩამოვრჩებით.

**შემდეგი გამოცემისათვის,**  
**საქართველოს ტექნიკური**  
**უნივერსიტეტი.**  
**ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის**  
**სამეცნიერო ცენტრის უფროსი**  
**მეცნიერ-თანამშრომელი.**

## პროფესიონალის თვალით

# მავნეარეობა-გადვინების გამოწვევი და განვითარების პრესკეპტივები

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უცხვათი ისტორია აკავშირებს, რასაც უამრავი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფასობს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მელისი მუზეუმი და ათარი დაკავშირებული, ათასწლეულებით დათარი დაკავშირებული მრავალი ეძსაონათ.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საკუეთესო გარემოს ქმნის მევენახეობის განვითარებისთვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად (18 მიკროზონა) იყოფა: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახა-

სიათებელი ვაზის ჯიშებით, რომებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყოფილი მევენახეობა-მელვინეობის ზონები საშუალებას იძლევა წარმოებული იქნეს მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული მევენახეობის ზონების პოტენციური შესაძლებლებები მათი შემდგომი გაფართოებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პროცედურების დაცვაზე (ყურძნის კრეფა, ტრანსპორტირება, გადამუშავება და სხვ.), რომლებიც აუცილებელია მაღალხარისხიანი ღვინის დამზადებისთვის.

ქართული ღვინის მენარმებმა შეძლეს მემკვიდრეობით მიღებული უნიკალური ვაზის ჯიშების, ღვინის ტრადიციული კერების ამოქმედება და მსოფლიოს ბაზარზე გასვლა.

ხარისხის გაუმჯობესების გზით საქართველო ევროპულ და ამერიკულ ბაზრებს იზიდავს. დარგის განვითარების მიზნით ხელი უნდა შეეწყოს მევენახეობა-მედვინეობის ვერტიკალური ინტეგრაციის კოოპერატივების შექმნას.

სახელმწიფო ხელი უნდა შეეწყოს ვენახების ახალი ფართობების გაშენებას, მათ შორის – საგადასახადო სტიმულებითაც.

მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო რეგულირებითა და კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალ-ხარისხოვანი ღვინის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხოვანი პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა-მედვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგის, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება.

ღვინის მწარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ვაზის ჯიშები, ტექნოლოგიები, კოოპერაცია, ინტეგრაცია, რეალიზაცია, სახელმწიფო რეგულირება, ფალსიფიკაცია, ბაზარი.

## შესავალი

საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტი ოდითგანვე იყო დამკვიდრებული (8-9 ათასი წლის წინათ, – პ. უკავებსკი, რ. ვაინოვლდი, ა. ნეგრული, ე. კაგაროვი და სხვ.), რაზედაც მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი და არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მედვინეობისათვის საჭირო უძველესი საგნებიც მიუთითებს. არქანჯელო ლამბერტი წერს: „ვინ იცის, იქნება ძველებმა იმიტომ უნდოდეს ქართველებს გიორგიანი, რომ პირველად ნოემ ამ ქვეყანაში ავარჯიშა ეს ხელობა და იქნება „დაბადებამ“ აქ ქვეყნის მკვიდრთ ამისათვის უწოდა პირველი მინის მუშაკნი. „და იწყო ნოემ კაცმან საქმედ ქვეყნისა და დასახა ვენახი... სხვა რომ არაფერი იყოს, ნოესაგან მათი

ჩამომავლობა, მათი ჩვეულება ამტკიცებს, ყოველგან ვენახებს აშენებენ და ცდილობენ ბევრი ლვინო მოიყვანონ, რომელიც ძლიერ უყვართ“.

საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ, კახური – 80, ქართლური – 72, იმერული – 75, რაჭა-ლეჩხუმური – 50, მეგრული – 60, გურული – 53, აჭარული – 52, აფხაზური – 58 და სხვ. საქართველოში 2.5-ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5.5-ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90), 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200), 3.5-ჯერ მეტი, ვიდრე დალესტანში (150).

მეცნიერები ვენახის პირველ სამშობლოდ მცირე აზიასა და კავკასიას (მის დასვლეთ ნაწილს და ზოგადად შავი ზღვის ქვეყნებს) მიიჩნევთ. შუამდინარეთში ვაზი მეორეული მოვლენაა. იგი აქ გავრცელებული უნდა იყოს სამხრეთ კავკასიიდან და ინდოეთიდან (მესუთე ათასწლეულში). მრავალ ენაში „ღვინო“ შესულია ერთი საერთო ძირით: ბერძნული – ოინოს, ლათინური – ვინუმ, ხეთური – ვიანა, სომხური – გინი, რუსული – ვინო, გერმანული – ვაინ; სემიტურ ენებში: არაული – ვაინუმ, ებრაული – იაინ, ასურული – ინუ და ა.შ. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა: „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღვინო“.

მევენახეობა-მედვინეობა იყო ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძლავრი სტიმული. „ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩომის წყა-

როდ კი არ მიაჩინა, არამედ იმ წმინდა აუზადაც, სადაც მის მამა-პაპას თავისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ....ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა გულიდამ ამოილოს თავისი თემი, თავისი ოჯახის ნარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითოული ვაზია, თვითოული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“ (ილია ჭავჭავაძე).

საქართველოდან ღვინო ღდითგანვე გაპქონდათ ევროპის, შუა აზიასა და სხვა ქვეყნებში. XVII საუკუნეში (1672 წ.) ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც ეწვია საქართველოს, ასე წერდა: „მეფეს გამოეგზავნა ჩემთვის ორი ღვინით სავსე საღვინე... იმ ღვინოზე უკეთესი ღვინო არ შეიძლებოდა“.

ვაზი ქართველ კაცს „სიცოცხლის ხედ“ მიაჩნდა. ყურძნის წვენს ქართველები მიიჩნევდნენ წმიდა სასმელად. თეიმურაზ ბაგრატიონი გადმოგვცემს: „შესუმიდეს ღვინოსა ახლსაცა და ძველსა, აღუნთებდეს სანთელთა დიდ-დიდთა შთამოსხმულთა ცვილთაგან“.

ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, ყურძნის მტევანს აღალი კაცის მარჯვენა უნდა შეჰქებოდა. ღვინო მხოლოდ ყურძნის წვენის დაღულებით მიიღებოდა და ამ წესის დაუცველობა წარმოუდგენელი იყო. ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლებოდნენ მისი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული





წესი: კახური (ჭაჭაზე სრული დადუღებით, ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭაზე დადუღების გარეშე, არაექსტრაქტული ღვინოები), რაჭული (ჭაჭაზე ნახევრად დადუღებით).

## ძირითადი ნაწილი

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საუკეთესო გარემოს ქმნის მევენახეობის განვითარებისთვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად (18 მიკროზონა, 7500 ჰა. მუშაობა მთავრდება დამატებით ორ თანიერზე კახეთში – ხაშმი და ლეჩხუმში – უსახელოური. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, პერსექტივაში მიკროზონების რაოდენობა 30-ს გადაჭარბებს) იყოფა: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი ვაზის ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყილი მევენახეობა-მეღვინეობის ზონები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნება მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

ცნობილი გამოთქმაა: „დიდებული ღვინო მხოლოდ დიდებული ყურძნისაგან დგება“ – ყურძნის ხარისხი და გადამუშავებისას მისი სიმნივის დონე განსაზღვრავს მომავალი ღვინის შედგენილობას, ორგანოლეპტიკურ თვისებებს. ხარისხის გაუმჯობესებაზე ვერ ვიღაპარაკებთ, თუ მეღვინეობის წინაშე მდგარ პრობლემებს არ გავეცნობით:

**1. რთველის თარიღის არაგეგმიური განსაზღვრა, რაც ინვევს არაკონდიციური ყურძნის, ან ზედმეტად მაღალშაქრიანი ყურძნის მიწოდებას ნარმოებისათვის;**

**2. ყურძნის გადამუშავების დაგვიანება (დაკრეფილი ყურძენი უნდა გადამუშავდეს მოკრეფიდან არაუმეტეს 2-4 საათში, მაქსიმუმ 6 საათში). ხშირ შემთხვევაში ყურძნით სავსე სატვირთო მანქანები ერთ და ზოგჯერ სამ დამეზე მეტსაც ათენებენ, სანამ სანარმოში მათი შესვლა ხერხდება. ამის მიზეზია არაორგანიზებული რთველის სეზონი: სანარმოებს არ აქვთ გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები მევენახებთან და უმეტესად სპონტანურად ხდება ყურძნის კრეფა და მიწოდება სანარმოებისათვის;**

**3. ყურძნის ტრანსპორტირების წესების დარღვევა: ყურძნის ტრანსპორტირება სანარმოში პირდაპირ სატვირთო მანქანის ძარაზე დაყრილ მდგომარეობაში ხდება, იშვიათად მხოლოდ რამდენიმე სანარმო მიმართავს ყუთებით ტრანსპორტირების მეთოდს. შედეგად ყურძენი ზიანდება, იჭყლიტება, იწყება ლპობითი (ბაქტერიების ცხოველებების) პროცესი, ღირებული თვითნადენი გზაში ჩამოიდინება მანქანის ძარიდან. შორ მანძილზე ყურძნის ტრანსპორტირებისას ზოგ შემთხვევაში, აუცილებელია გამოყენებულ იქნას ტემპერატურული რეჟიმის კონტროლის სისტემით აღჭურვილი სატვირთო მანქანები, რომელთა ხელმიუნვდომლობა რთველის პერიოდში მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში მკვეთრად შეინიშნება;**

**4. არაეგულირებული ყურძნის ფასი;**

**5. ჯიშური არომატის ნაკლებობა-არარსებობა, რაც გამოწვეულია ღვინის დადუღებისას ტემპერატურული რეჟიმის უგულვებელყოფით. სანარმოებში არასაკმარისი ოდენობითაა ტემპერატურული რეჟიმის კონტროლით აღჭურვილი სამადულრე (გამაციებელი სისტემით) რეზერვუარები და, შესაბამისად, დუღილისას ვერ ხერხდება ტემპერატურის კონტროლი. ქვევრის ერთ-ერთი უნიკალურობაც ხომ ამაში მდგომარეობს: ჩვენმა ბრძენმა წინაპარმა, ყოველგვარი მეცნიერული საფუძვლების გარეშე იცოდა, რომ ღვინის დუღილი „თანაბრად, საშუალო ტემპერატურაზე“ უნდა განხორციელებულიყო და ქვევრის მიწაში მოთავსების ტრადიციაც, სავარაუდოდ, ამ მიზეზით წარმოიშვა. უფრო მეტიც, ქართველი კაცი ქვევრებს შორის 2-3 მეტრს მანც იცავდა და ერთმანეთთან ახლოს მიწაში არ ათავსებდა, რადგან თბოცვლას ხელი არ შეშლოდა, მიწას ქვევრი გაეგრილებინა და დუღილის დროს წარმოქმნილი ტემპერატურით „ქვევრებს ერთმანეთი არ გაეთბო“. დღეს ქვევრის ღვინის მწარმოებლებმა დაივინებს ეს ტრადიციაც და ხშირად მარნებში ქვევრები ერთმანეთთან ძალიან ახლოს არის ჩაყრილი და დუღილის დროს იზრდება მაღულარი მასის ტემპერატურა, მიწას აღარ ძალუებს ქვევრების გაგრილება. გარდა ამისა, არომატის დაკარგვის მიზეზი შესაძლებელია იყოს სტაბილიზაციისას არასწორად შერჩეული და ჭარბი რაოდენობით გამოყენებული მასა-ლები, რაც უშუალოდ მეღვინის არაკვალიფიციურობაზე მეტყველებს;**

**6. ქვევრის ღვინის მიკრობიოლოგიური დაავადებები, რაც გამოწვეულია ჰიგიენური წესების დარღვევით. (იგივე ხდება სანარმოებშიც) ქვევრის, (ასევე კასრის) კედლები ხომ ფორმოვანი სტრუქტურით ხასიათდება, სადაც ბაქტერია იბუდებს და შემდეგ ქვევრში (კასრში) ჩასხმულ სითხეში გადაინაცვლებს, მრავლდება და იწყებს ცხოველებებას. გავიხსენოთ, რომ რთველის წინ ჩვენი წინაპარი საგულდაგულოდ, გულმრიდინედ რეცხავდა ქვევრს და დურდოს მოთავსებამდე გოგირდის პატრუქებსაც უბოლებდა. ზოგჯერ ქვევრის გარეცხვა არაა საკმარისი იმისათვის, რომ მომავალი ღვინო დავიცვათ ბაქტერიებისაგან და აუცილებელია ანტიმიკრობული მოქმედების**

(სსნარების/გოგირდის პატრუქების) გამოყენება, რათა სრულყოფილად „გავრმინდოთ“ ფორები მიკროორგანიზმებისაგან.

ზემოაღნიშნული პრობლემების ძირითადი მიზეზია:

● **კვალიფიციური კადრების დეფიციტი.** საჭიროა მეღვინე, რომელმაც იცის ენოლოგიის თეორიული საფუძვლები და აცნობიერებს ღვინის წარმოების პროცესში მიმდინარე ფაზიურ-ქიმიურ პროცესებს, შეძენილი აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ტრადიციების გათვალისწინებით ქმნის თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროდუქციას. ასეთი კადრების დეფიციტის არსებობა ასახულია დღეს ბაზარზე წარმოდგენილ პროდუქციაზე.

**მევენახეობა-მეღვინეობის რეგულირებისას არსებული ხარვეზები:**

● **საოჯახო მცირე საწარმოებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროცედურების სირთულეები.**

● **საოჯახო მცირე საწარმოებისათვის დარგობრივი განათლების მიღების შესაძლებლობის პრობლემა.** ამ მიზნობრივი ჯგუფისათვის შედეგიანი იქნება ტრეინინგების ჩატარება, საინფორმაციო ბიულეტენების მიწოდება და სხვა ღონისძიებები.

2016 წელს საქართველოში ვენახის ფართობმა 45 ათას ჰა მიაღწია (2014 წ. 39 ათასი ჰა), ყურძნის მოსავალმა შეადგინა 159,2 ათასი ტონა, 2015 წელს ეს მაჩვენებელი იყო 214,5 ათასი ტონა. ჩვენი გათვლებით (აკად. რ. ქეშელაშვილი, პ. კოლუაშვილი) ვენახის ფართობი 2025 წლისათვის 62 ათას ჰა მიაღწევს, ხოლო მოსავალი 425 ათას ტონას, რაც სავსებით რეალური და მიღწევადია.

სადღეისოთ საქართველოში წარმოებული ყურძნიდან დაახლოებით 30-40 ათასი ტონა გადამუშავდება ღვინის მწარმოებელი კომპანიების მიერ, 15 ათასი ტონა გამოიყენება სუფრის ყურძნად, ხოლო დანარჩენი 100 ათასი ტონა გადამუშავდება კერძო პირების მიერ საოჯახო ღვინოების დასამზადებლად. ყურძნის გადამუშავებით მიღებული 50-80 მილიონი ლიტრი მოიხმარება საქართველოში.

„2017 წლის იანვარ-ივნისში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,5 მლნ ბოთლი

ღვინო, რაც 59%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. ამ პერიოდში ექსპორტირებულია 70,5 მლნ აშშ დოლარის ლირებულების ღვინო, რაც 51%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 104% (3842412),

რუსეთი - 89% (19313343), უკრაინა - 30% (2983000), პოლონეთი - 13% (1212704), ბელარუსი - 43% (660674), ლატვია - 19% (685508), აშშ - 43% (176274), გერმანია 20% (200440), საფრანგეთი - 457% (95530), ისრაელი - 150% (105710), აზერბაიჯანი - 241% (87402) და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთებულია: რუსეთი - 19313343, ჩინეთი - 3842412, უკრაინა - 2983000,

პოლონეთი - 1212704 და ყაზახეთი - 1163827 ბოთლი.

ამასთან, მსოფლიოს 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 6 858 734 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 85%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 16 მლნ აშშ დოლარის ლირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 88%-ს აღწევს.

მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო-მასალის, ჩამოსახსმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 122,14 მლნ აშშ დოლარს შეადგინა - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 56% შეადგინა".

მევენახების პრობლემებზე საუბრისას არ უნდა გამოგრჩეს უმთავ-

რესი: მათი პროდუქციის შესყიდვა ძირითადად ხდება ერთის მხრივ - შუამავალი, გადამყიდველი პირებისა და კომპანიების, მეორეს მხრივ - ღვინის ქარხნების მიერ, რომლებიც საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით დაინტერესებული არიან შეისყიდონ ყურძნი რაც შეიძლება დაბალ ფასებში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები, ვისთვისაც ყურძნის რეალიზაციიდან ამონაგები შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს, იძულებული არიან დათანხმდნენ შესყიდვის დისკრიმინაციულ ფასებს, რაც ავტომატურად იწვევს ძირითადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების განვითარებაზე ზრუნვის მოტივაციის და ადგილზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის მოშლას.

ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი გარკვეული მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციის საფუძველი. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, გაჩნდა სახელმწიფოს მხრიდან ყურძნის შესყიდვის იძულებითი სუბსიდირების პრაქტიკაც, რაც მძიმე ტევითად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კომპენსაციის ის ფორმა, რომელიც დაწესდა ღვინის საწარმოებისათვის 2017 წლის რთველის პერიოდში (70 თეთრს+35 თეთრი) მისაღები ვარიანტია.

სოფლის მეურნეობისა და გადამუშავებელი მრეველობის სწრაფი, დაბალანსებული განვითარების ეფექტურ მექანიზმს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფარგლებში მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. ასეთი სისტემის ფორმირების დამატებითი განვითარების მიზნით მისაღები ვარიანტია.



ბით მევენახებს მიეცემათ ყურძნის წარმოების, გადამუშავებისა და ღვინის რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქციის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და ყურძნის მწარმოებლები დაინტერესებული იქნებიან ღვინის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი დამატებითი ღირებულებით.

სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების განვითარების სააგენტოს



ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე „მევენახების სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს როგორც ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნისათვის საჭირო აღჭურვილობის სასოფლო-სამეურნეო კომპერატივებისათვის გადაცემას, ასევე ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რომელიც სავალდებულოა კომპერატივებისათვის.

ტექნიკური დახმარების ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კომპერატივები მიიღებნ ინფორმაციას როგორც ღვინის საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა სპეციფიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპერატივული ტიპის ღვინის საწარმოს დაარსების შემთხვევაში მოხდება:

- ყურძნის წარმოების, გადამუშავებისა და წარმოებული ღვინის რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნა, სადაც მევენახები მიიღებნ გაზრდილ შემოსავლებს არა ყურძნის, არამედ ღვინის რეალიზაციდან;

- მაღალხარისხიანი ყურძნისა და ღვინის წარმოება;

- პროდუქციის თვითღირებულების შემცირება;

- სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ცივილიზებული ფორმების დანერგვა და განვითარება;

- კომპერატივის წევრების მიერ რეალური თვითმმართველობის ყველა კომპონენტის: თვითანაზღაურების, თვითრეგულირებისა და თვით-

ღვინოების დაყენების უარყოფის კამპანიას.

ილია ჭავჭავაძე ქართველ მეღინეთა გასაგონად აცხადებდა: „თუ ჰესურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ ადგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და გზა დააცლევინოს, ეს მარტო იმით შეიძლება მოხდეს, რომ გასამკლავებლათ ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. აქ ჩვენი გამარჯვება უეჭველია“. ამაზე ლოგიკურად და მიზანდასახულად გზის ჩვენება ალბათ ძნელი წარმოსადგენია!

მიუხედავათ აღნიშნულისა, დღემდე განსაკუთრებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ქართული ღვინოების ფალიფიცირება, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების, ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება, რის გამოც ქვეითდება ქართული ღვინის პრესტიჟი, იკარგება ტრადიციული ბაზრები, ზარალდება ქართული ღვინის მილიონობით მომხმარებელი, ეს კი ნეგატიურად აისახება არა მარტო მეღვინეობის, არამედ მისი საფუძვლის – მევენახების განვითარებაზეც. ამის დასტურია ბოლო პერიოდში ღვინის ბაზარზე განვითარებული მოვლენები, რომელიც, ჩვენი აზრით, მეტნილად ქართული მხარის უნებლივი ინიციირებით არის გამოწვეული. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ქართული ღვინების უმეტესობა როგორც შეიდა, ისე გარე ბაზრებზე იყიდება ისეთი ეტიკეტებით, რომლებიც რაიონის, რეგიონის, სოფლის დასახელებას გამოხატავენ. ეს ეტიკეტები (დასახელებები) არ წარმოადგენს რომელიმე ცალკე აღებული ღვინის ქარხნის (საწარმოს) ინდივიდუალურ საკუთრებას, რაც თავიდანვე ქმნის ნოყიერ ნიადაგს ეტიკეტების გაყალბებისა და ღვინის ფალიფიცირებისათვის.

ფართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობითაა საჭირო ბრძოლა ღვინის ფალიფიცირების წინააღმდეგ. მევენახება-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის ბრძოლა უმუალოდ უკავშირდება ფალიფიცირებული ღვინოების მავნეობის გამოვლენასა და ამგვარი

ღვინოების დაყენების უარყოფითი მხარე ისიც, რომ მთლიანობაში მომხმარებელი იხდის უფრო ძვირს, ვიდრე ღირს პროდუქტი შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის და, რაც ყველაზე ცუდია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტისადმი, რითაც ზარალდება პატიოსანი მწარმოებელი.

მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მაღალხარისხიანი ნამყენი ნერგის წარმოება, რისთვისაც აუცილებელია სერ-თიფიცირებული სანერგე სანარმოების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.

მეცნიერების მიეროზონებში გაცილებით მეტი პოტენციალია ახალი ვენახების გაშენებისათვის (39500 ჰა), ვიდრე იგია სადღეისოდ გაადგი-ლებული (7500 ჰა). ჩვენ ეს პოტენცი-ალი მაქსიმალურად უნდა გამოვიყე-ნოთ, რადგან ევროკავშირში გაწევ-რიანების შემდეგ საქართველო ვენა-ბის ახალ ფართობებს ვერ გააშენებს. მეცნიერების სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრი-დან შესაბამისი ღონისძიებების გატა-რება და მათ შორისაა საგადასახადო შეღავათების დაწესება. საერთაშო-რისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმ-რავლეს მეცნიერება-მელექინეობის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ვაზი (და არა მარტო ვაზი, ასე-ვე სხვა მრავალწლოვანი ნარგავები 3 წლით, ხოლო კავალი 4 წლით) ვე-ნახში გაშენებიდან სამი წლის განმავ-ლობაში გათავისუფლებულია ყველა სახის გადასახადისგან. ვფიქრობთ, მსგავსი ჩანაწერი უნდა გაჩნდეს ჩვენს საგადასახადო კანონმდებლო-ბაშიც, რადგან სამი წლის მანძილზე



მეცნიერება მხოლოდ ხარჯს ეწევა და დანახარჯი 12 ათას ლარს შეადგენს. აქეე უნდა ითქვას დაზღვევის შესა-ხებაც. მიგვაჩნია, რომ მეცნიერების სპეციალიზებულ ზონებში დაზღვევა საგადასახადო უნდა იყოს.

**დასკვნა.** მხოლოდ ქმედითი სახელ-მწიფო რეგულირებითა და კონტრო-ლის განხორციელებით არის შესაძ-ლებელი კონკურენტუნარიანი, მა-ღალხარისხოვანი ღვინის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომზარებლო ბაზრის დაცვა, მეცნიერება-მელექი-ნეობის, როგორც ეროვნული ეკო-ნომიკის პრიორიტეტული, დარგის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

განვითარება (მთავრობის როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მე-ცნიერება-მელექინეობის დარგის სა-ხელმიწოდო მხარდაჭერის მიზნობრი-ვი პროგრამის შემუშავებასა და გან-ხორციელებაში). მითუმეტეს, რომ ღვინის მნარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარ-მოადგენს ქვეყანას, რომელსაც გა-აჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძ-ნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფ-ლიო ბაზარზე აღიარებისათვის.

**პასტა მუდავაშვილი,**  
**სსმმ აკადემიი აკადემიკოსი,**  
**პროფესორი**



სსმმ აკადემია

## საერთაშორისო სამსახურის კონფერენცია

2017 წლის 25-27 ოქტომბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაზე ჩატარდა საერთაშორისო სამსახურის კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება და მეცნიერება ეროვნული კონფერენციის ასახულები და აერსახეტივები“. კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა შოთა რუსთაველის ეროვნული სამსახური ფონდის მიზანით.

საერთაშორისო სამეცნიერო კო-ფერენციის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების და მათ შორის საქართვე-ლოს მეცნიერებასა და მელექინებაში არსებული მდგომარეობის განხილვა, პერსპექტივების განსაზღვრა, პიზ-ნესის განვითარების დარგის პარა-მეტრების შემუშავებისათვის რეკო-მენდაციების მომზადება, ხოლო კო-ფერენციის ამოცანას წარმოადგენდა – მეცნიერება-მელექინების დარგის განვითარებისათვის ევროპის ქვეყ-ნების და მათ შორის საქართველოს

სამომავლო პერსპექტივების ჩამოყალიბება, ევროპის და სხვა ქვეყნების მეცნიერების მიერ დარგში მიღწე-ული ინოვაციური ტექნოლოგიების განზოგადება და დარგის შემდგომი აღმავლობისათვის მეცნიერების და სხვა სპეციალისტების კვლევების და სამეცნიერო მიღწეულების კუთხით ურ-თიერთგაცვლითი ღონისძიებების ჩა-ტარების საფუძვლების მომზადება.

კონფერენციის მუშაობაში ქარ-თველ მეცნიერებთან ერთად მო-ნანილება მიიღეს საფრანგეთის,

იტალიის, რუმინეთის, ესპანეთის, სლოვაკეთის, უკრაინის და მოლდო-ვის მეცნიერებმა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის და ეკროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაბიერი, ხოლო რუმინეთის დელე-გაციას – რუმინეთის სოფლის მეურ-ნეობის ეროვნული აკადემიის პრეზი-დენტი, პროფ. გეორგ სინი.

კონფერენცია გახსნა და მის მნიშ-ვნელობაზე ისაუბრა აკადემიის პრე-ზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ. კონფერენციის მონაწილეებს მიე-სალმნენ საქართველოს სოფლის მე-ურნეობის მინისტრი ლევან დავითაშ-



ვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამაზ მარსაგიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გიორგი კვესიტაძე, საფრანგეთის სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. მიშელ ტაბიერი, რუმინეთის სოფლის მეურნეობის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, პროფ. გეორგ სინი, უკრაინის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდგვანი, აკად. ვლადიმერ ხარება, აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრი ავთანდილ მესხიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გიორგი ქვარცხავა, მილანის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორი ფაბიო კუაგლინო, სევილის (ესპანეთი) უნივერსიტეტის პროფესორი რაფაელ ისეტე რუბიო, ბრატისლავის (სლოვაკეთი) უნივერსიტეტის პროფესორი იოზეფ ტუროკი, ვ-ტაიროვის მევენახეობის და მელინენბის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი ლუდმილა კონუპი (ოდესა, უკრაინა), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, დოქტორი ლევან უჯმაჯურიძე.

კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იყო 68 მოხსენება, მათ შორის 18 პლენარულ სხდომაზე, რომელიც ეხებოდა ევროპის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში მევენახეობა-მელინენბის დარგში არსებულ მდგომარეობას, ამ დარგის სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს და სამომავლო პერსპექტივებს, დარგის გენოფონდის დაცვის ღონისძიებებს, ევროპის ქვეყნებში დარგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად და თანამედროვე, ინვაციური ტექნოლოგიების განხორციელების მიმართულებებს და ა.შ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მსოფლიო მევენახეობა-მელინენბის ევროპული სამყარო გაეცნო ქართული მევენახეობის საწყისებს, ოჯახური მევენახეობა-მელინენბის თავისებურებებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, ქართული ვაზის უმდიდრეს გენოფონდს, რომლის მიმართ დიდი ინტერესი არსებობს და იგი ხელს შეუწყობს მსოფლიო არენაზე მის დაცვას კანონიერების სრული მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ევროპული ღვინის საერთაშორისო ღონისძიების – საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება – ერთ-ერთი მეტად საჭირო, ეფექტური ღონისძიება და საშუალებაა ამ ეროვნული დარგის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების თვალსაზრისითაც.

კონფერენციის ჩატარების შედეგად გაღრმავდა კავშირები იმ ქართველ და ევროპულ მეცნიერთა შორის, რომლებიც კონფერენციის თემატიკით გათვალისწინებულ საკითხებზე მუშაობენ და რის საფუძველზეც მოხდება აგრარიკოსი მეცნიერების, ფერმერების, მელინენბისა და სტუდენტების გაცვლითი სამუშაო მივლინებების პრაქტიკის ჩამოყალიბება; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობა ექნებათ რეალიზება გაუწიობ კონფერენციაზე გამოთქმულ საზღვარგარეთის მეცნიერების პრაქტიკულ წინადაღებებს ფერმერულ მეურნეობები და ღვინის წარმოების ინდუსტრიაში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

კონფერენციის პროგრამით განხორციელდა სანარმოო ექსკურსიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილდურას ექსპერიმენტულ ბაზაში, ალ. ჭავჭავაძის ნინანდლის სახლ-მუზეუმში, ნაცარეულის „ტყუპების მელვინეობის კომპანიაში“ (გია და გელა გამტკიცულაშვილები) და ყვარელში კომპანია „მელვინეობა სარებას“ ობიექტებზე.

კონფერენციის დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

კურსიების და სხვა ღონისძიებების საშუალებით შესაძლებელია კონფერენციის შედეგების არა მარტო საქართველოს მასტაბით, არამედ ევროპის ქვეყნებში საუკეთესო სააგიტაციო მუშაობის წარმართვა.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც აღიარებს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის მჭიდრო, საქმიანი კავშირების დამყარების დიდ მნიშვნელობას და სამეცნიერო ფორუმების სისტემატური ჩატარების აუცილებლობას ქვეყნების სამეცნიერო-პრატიკული საქმიანობის პროირიტეტულობის განსაზღვრის მიზნით. მასში აღნიშნულია, რომ აუცილებელია:

ა) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეთა და სამეცნიერო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა მევენახეობისა და მელინენბის მიმართულებით ერთობლივი ღონისძიების შესამუშავებლად;

ბ) მისასალმებელია დღევანდველი ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების კავშირის ერთსულოვანი სურვილი და მხარდაჭერა საქართველოში ზემოთაბაზიშნული საერთაშორისო კონფერენციის შედეგების განზოგადების მიმართულებით;

გ) განსაკუთრებით დიდია ამ კატეგორიის ღონისძიების ჩატარების მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში. იგი დიდად შეუწყობს ხელს საერთაშორისო არენაზე ქართული ღვინის ავტორიტეტის ამაღლებას, ღვინის ბაზრებზე შესვლას და დამკაიდრებას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

კონფერენციის პროგრამით განხორციელდა სანარმოო ექსკურსიები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯილდურას ექსპერიმენტულ ბაზაში, ალ. ჭავჭავაძის ნინანდლის სახლ-მუზეუმში, ნაცარეულის „ტყუპების მელვინეობის კომპანიაში“ (გია და გელა გამტკიცულაშვილები) და ყვარელში კომპანია „მელვინეობა სარებას“ ობიექტებზე.

კონფერენციის დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

**ღლაშვილი გვარისამიერი,**  
აკადემიკოსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

# საქართველოში მუნიციპალიტეტი განვითარების კონსალტინგი, პროგლოგი და ეთი გადაწყვეტის გზები

მსოფლიოში ჩაის მოხარებისა და ფასების სტაბილურად გზარდება ხა-  
სიათმა, ეკოლოგიურად უფლება აუცილებელი მომენტისა და მომენტის  
განსაკუთრებული განვითარებისა და მისი შემდგროვი გაფართოვები-  
ში ჩაის ცარमოვანის რეაგილიტაციისა და მისი შემდგროვი გაფართოვები-  
სათვის. ჩვენში ასლებობა დარგის ინფიციური და გასშუაბური განვითა-  
რების როგორც რესურსი, ასევე აუცილებლობა მისი სოციალურ-ეკონო-  
მიკური მნიშვნელობისა და ეკოლოგიური დატვირთვის გამო. ამ რესურსს  
აქვთ დიდი პროცეციალი სოციალური მოსახლეობის ცხოვრების პიროვანის  
რადიკალური გაუმჯობესებისათვის და მისი რაციონალური გამოყენება  
განსაკუთრებულ აძმუალობებას იქნეს დღეს, როცა ძართული სოციალი ს-  
რიოზული გამოვლენებისა და საფრთხის ინდიკატორი.

რესურსების ათვისება, როგორც ცნობილია, ტექნოლოგიების საშუა-  
ლებით ხდება. რაც უფრო სრულყო-  
ფილია ტექნოლოგიები, მით უფრო  
მაღალია წარმოების ეფექტურო-  
ბა და, შესაბამისად, მოსახლეობის  
ცხოვრების დონეც.

საქართველოში ჩაი ინტროდუცი-  
რებული კულტურა და გამერებულია  
მისი გავრცელების არეალის უკიდუ-  
რეს ჩრდილოეთ საზღვარზე. ასეთ  
პირობებში მცენარე, მით უმეტეს,  
თუ იგი სამეურნეო დანიშნულები-  
საა, მოითხოვს მოვლა-მოყვანისა და  
გადამუშავების სპეციფიკურ ტექ-  
ნოლოგიებს. ამ ამოცანის პირველი  
ნაწილი – დასავლეთ საქართველოს  
სუბტროპიკებში ჩაის მოვლა-მოყვა-  
ნის ორიგინალური აგროტექნოლო-  
გიის შექმნა და წარმოებაში დანერგვა  
ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე  
ნახევარში წარმატებით გადაწყდა ჩა-  
ისა და სუბტროპიკულ კულტურათა  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
კოლექტივის მიერ.

რაც შეეხება ჩაის გადამუშავებას,  
ჩვენ დღესაც იმ ტექნოლოგიებს ვი-  
ყენებთ, რომელებიც ამ კულტურას  
მისი სამშობლოდან შემოყვა და შექმ-  
ნილია ჩვენგან მკვეთრად განსხვავე-  
ბულ სამეურნეო გარემოში.

ტექნოლოგიის ამოცანაა დროისა  
და ადგილის მოცემულ პირობებში შე-  
არჩიოს ან შექმნას სარგებლიანობის  
თვალსაზრისით ისეთი შესაძლებლო-  
ბა, რომელიც შესძენს პროდუქტს მაქ-  
სიმაღლურ სიიაფეს სასურველი თვისე-  
ბებისა და ფორმის შენარჩუნებით.

ამის გამო ტექნოლოგიები არაა  
ზუსტი მეცნიერება – იგი გახლავთ

რუქციული სქემის ხისტ ჩარჩოებში  
მოქცეული ჩაის თანამედროვე ტექ-  
ნოლოგიები ხასიათდებიან მოქნი-  
ლობის დაბალი დონით, თუ ამ ტერ-  
მინის ქვეშ ვიგულისხმებთ თვისება-  
თა კომპლექსს, რომლის საშუალე-  
ბითაც წარმოება ეგუება რთულ და,  
ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობ-  
რივ ურთიერთობებს ნედლეულის  
მომწოდებლებთან და პროდუქციის  
მომხმარებლებთან.

ზემოთ მივუთითეთ, რომ ტექნო-  
ლოგიის მიზანი პროდუქციის თვით-  
ლირებულების მინიმიზაციაა. დანა-  
ხარჯები ნებისმიერ ტექნოლოგიურ  
პროცესზე ანუ პროდუქციის თვით-  
ლირებულება შედგება სამი ძირითადი  
ელემენტისგან: ნედლეული, ენერგია  
და პირობითად მუდმივი ხარჯები.  
მესამე ელემენტი მოიცავს ხელფასს,  
მოწყობილობათა ამორტიზაციას და  
ზედნადებარჯებს.

მზა ჩაის თვითლირებულების ანა-  
ტომია გვიჩვენებს, რომ იგი ნედლე-  
ულტევადი პროდუქტია – მასზე მო-  
დის დანახარჯების 60%-ზე მეტი.

იმის გამო, რომ ბაიხის ჩაის ნედ-  
ლეული – მცენარის ახალგაზრდა ნა-  
ზარდები შედგება სხვადასხვა ტექ-  
ნოლოგიური ლირსების ელემენტის-  
გან, მისი პოტენციალის მაქსიმალუ-  
რი გამოყენება (წარმოების ეფექტუ-  
რობის აუცილებელი პირობა) ნიშნავს  
ნედლეულის შედარებით ერთგვარო-

მრავალკრიტერიალური ამოცანის  
კომპრომისული გადაწყვეტა სხვა-  
დასხვა ფაქტორის (კლიმატური, ეკო-  
ლოგიური, ეკონომიკური, დემოგრა-  
ფიული, სოციალური და სხვა) გათვა-  
ლისწინებით და უნდა იცვლებოდეს  
ადგილისა და დროის გარემოებების  
მიხედვით.

ზემოთა დანიშნული კრიტერიუმე-  
ბის გათვალისწინებით ტექნოლოგიი-  
ების შერჩევა ან, მითუმეტეს, ახლის  
შექმნა რთული ამოცანაა განსაკუთ-  
რებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს  
ისეთ ნატიფ საგემოვნო პროდუქტ-  
თან, როგორიცაა ჩაი. მომხმარებ-  
ლის საუკუნეობით ჩამოყალიბებუ-  
ლი კონსერვატიზმი მნიშვნელოვნად  
გვიზღუდავს მანევრირების საშუ-  
ალებებს როგორც ტექნოლოგიე-  
ბის მოდიფიკაციის, ასევე ახალი  
ოპერაციების განხორციელებისას.  
ერთხელ ჩამოყალიბებული კონსტ-





ვან ნაწილებად დაყოფის ეკონომიკურად გამართლებული საშუალების არსებობას. იმისდამიხედვით, თუ რა საშუალება გააჩინა ამა თუ იმ ტექნოლოგიას ამ ამოცანის გადასაწყვეტილ უძლიერება დასამზადებელი ნედლეულის პარამეტრები (ფოთლების რაოდენობა დუყზე).

დღეისათვის ცნობილი ჩაის ტექნოლოგიებიდან ნედლეულის ერთგვაროვნ ნაწილებად ეფექტურად დაყოფის ამოცანას მეტნაკლები ნარმატებით წყვეტებ მხოლოდ ე.წ. კლასიკური ტექნოლოგიები, რომლებიც თვითრეალიზაციისათვის მოითხოვენ ასევე კლასიკურ ნედლეულს – 2-3 ფოთლიან ნაზ დუყებს. ასეთი ნედლეულის დამზადება მოითხოვს დიდი რაოდენობით მუშახელს, რაც ჩვენი სოფლების დღევანდელ დემოგრაფიულ პირობებში სერიოზულ ბარიერს შეუქმნის რესურსის სრულ ათვისებას – ჩაის ნარმოების გაფართოებას.

გარდა ამისა, ჩაის ბუჩქის ბიოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ ფოთლის არათანაბარ „შემოსვლას“ საკრეფად, რის გამოც გადამამუშავებელი სანარმოები იძულებული არიან დააყენონ იმდენჯერ მეტი ტექნოლოგიური სიმძლავრე, რამდენჯერაც ნედლეულის საშუალო პიკური შემოსავალი აღემატება საშუალო დღიურს. ეს თანაფრთხობა ცნობილია, როგორც უთანაბრობის კოეფიციენტი და ჩვენი რეგიონისათვის იგი შეადგენს 2-ს. სრული დატვირთვით გადამამუშავებელი სანარმო მუშაობს ნელინადში 12-15 დღე. სანარმო სიმძლავრეების გამოყენების ასეთი დაბალი კოეფიციენტი მძიმე ტვირთად აწვება მენარმე სუბიექტებს, რომლებსაც ისედაც

უხდებათ სეზონური ნარმოების ცნობილ პრობლემებთან გამკლავება.

ჩაის ნედლეულის უთანაბრო შემოსავლის ლიკვიდაციის მიზნით ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტში დამუშავებული გასხვლის სხვადასხვა სახეებისა და ვადების მონაცვლეობა, მართალია, არბილებენ პიკებს (ძირითადად სეზონის დასაწყისში), მაგრამ საკითხს რადიკალურად ვერ წყვეტინ.

გარდა ამისა, მართალია, კლასიკური ტექნოლოგიები დამამაყოფილებლად წყვეტებ დუყის ერთგვაროვნ ნაწილებად დაყოფის ამოცანას, მაგრამ ფოთლის პოტენციალს მაქსიმალურად ვერ იყენებენ.

ასე, შავი ჩაის ნარმოებისას ნედლეულის უჯრედების 20-25% დაუშლებლი რჩება. ისინი არ ღებულობენ მონაცილეობას პროდუქციის ხარისხის ჩამოყალიბებაში და ნარმოადგენება არა მარტო უბრალო ბალასტს, არამედ უარყოფითადაც კი მოქმედებენ საბოლოო შედეგზე.

მნვანე ჩაის ნარმოებისას გადამუშავებების პირველივე ოპერაციის შედეგად ხდება ცილების დენატურაცია, რის გამოც იგი ეთიშება ბიოქიმიური გარდაქმნების პროცესებს და ვკარგავთ უკეთესი ორგანოლეპტიკური თვისებების მქონე პროდუქციის მიღების შესაძლებლობას.

ჩაის ნედლეულის დამზადებაში დაძაბულობის მოხსნა შესაძლებებლივ მასაში 4-5 და 6-ს ფოთლიანი ნაზარდების დაშვებით. ამ შემთხვევაში ნარმოება იძულებულია შეეგუროს ნედლეულის ცალკეული ნაწილების ხარისხის ნიველირებას, პროდუქციის ასორტიმენტის მნიშვნელოვან გა-

უარესებას და დამატებითი ხარჯების განევას არაკონდიციური მინარევებისაგან მისი გაწმენდისათვის, რაც ამ ლონისძიების ეკონომიკურ ეფექტურობას საეჭვოს ხდის.

თუ ტროპიკულ ქვეყნებში ჩაის მნარმოებლები ურიგდებიან ზემოთჩამოთვლილ დანაკარგებს, ჩვენი ნედლეულის შედარებით დარიბი ქიმიური შემადგენლობა გააძლიერებს მათი მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობების მოძიებას.

#### ამრიგად, ჩაის ნარმოების საკითხში არსებობს ორი ალტერნატივა:

1) 2-3 ფოთლიანი ნაზი დუყების გადამუშავება კლასიკური ტექნოლოგიებით, რომელიც მოითხოვს დიდ შრომით დანახარჯებს და გაზრდილ სანარმოო სიმძლავრეებს;

2) გაუარესებული მექანიკური შემადგენლობის ნედლეულის გადამუშავება ე.წ. ინტენსიური ტექნოლოგიებით, რომელიც იწვევს პროდუქციის ასორტიმენტის გაუარესებას და ნარმოების დანახარჯების გაზრდას.

მეორე პრობლემა, რომელიც სერიოზულ ბარიერებს ქმნის ჩაის ნარმოების ეფექტური ფუნქციონირებისა და სტაბილური განვითარებისათვის (მოწყობილობათა გამოყენების დაბალი კოეფიციენტი, კვალიფიციური მუშახელის დიდი დენადობა და სხვა) მისი სეზონურობაა და იგი გამოწვეულია ჩვენი კვეყნის კლიმატური პირობებით. მიუხედავად იმისა რომ პლანეტაზე კლიმატის ცვლილება ყველგან ხდება, განჭვრეტად მომავალშიც, ალბათ, ჩაის ნარმოება ჩვენში შეინარჩუნებს სეზონურ ხასიათს. მიგვაჩინა, რომ პრობლემის სრული გადაჭრა თუ არა, მისი მნიშვნელოვანი შერპილება შესაძლებელია ჩაის გადამამუშავებელი სანარმოს ძირითადი მოწყობილობების გამოყენებით სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებისათვის.

#### ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

– ჩაის გადამუშავების დღეისათვის ცნობილი სამრეწველო ტექნოლოგიები ჩვენი სოფლების მძიმე დემოგრაფიული სიტუაციით გამოწვეულ მუშახელის მწვავე დეფიციტის პი-

რობებში ვერ იძლევა რესურსის (მიწის) სრულად და სრულყოფილად ათვისების შესაძლებლობას ამ საიმედო და პოტენციურად მაღალრენტაბელური კულტურის ქვეშ სეზონის პერიოდში მუშახელის გარედან მოზიდვის გარეშე. ამან შესაძლოა გაანელოს კულტურის მიმართ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესი, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ რესურსის სრული ათვისების მომიზეზებით უცხოური კომპანიებისა და სამუშაო ძალის შემოყვანის მოტივაცია შექმნას.

– ჩვენი რესურსის საკუთარი ძალებით ათვისების უზრუნველყოფისათვის, რაც თავიდან აგვაცილებს მეჩაიერობის დარღვი უცხოური კომპანიების შემოყვანისა და უცხოტომელთა მასიური ჩამოსახლების საფრთხეს, აუცილებელია მოინახოს მცირე შრომითი დანახარჯებით ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალება.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში – ჩაის მრენველობის ინსტიტუტში ადრე ჩატრებულ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგებზე დაყრდნობით მუშავდება საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული მცენარეული ნედლეულის გადამუშავებელი კომპინატის შექმნას.

პროექტის მიზანია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ადგილობრივი რესურსების ეფექტური გამოყენებით.

დასახული მიზანი მიიღევა კომპინირებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის ტრანსფორმაციის პრინციპების, აგრეთვე ეფექტური ტექნოლოგიური სიახლეების რეალიზაციით.

კომპინირებისა და მოწყობილობათა ტრანსფორმაციის პრინციპები გამოიყენება შესაბამისად საწარმოს მუშაობის სეზონურობის ლიკვიდაციისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით.

ტექნოლოგიური სიახლეები კი წარმოების ეფექტურობის მნიშვნელოვანი გაზრდის საშუალებას იძლევა.

კომპინირების პრინციპის განხორციელების მიზნით შერჩეულია შემდეგი სახის ნედლეული:

- ჩაი;
- სუბტროპიკული ხურმა;
- ციტრუსოვნები.

ნედლეული შერჩეულია შემდეგი მოსაზრების გამო:

– დასახელებული კულტურების ტექნიკური სიმნივის პერიოდები დროში არაა თანხვდენილი და ისინი მთლიანობაში თითქმის უწყვეტად მოიცავს პერიოდს მაისიდან დეკემბრამდე.

– ამ კულტურების გავრცელების არეალი თანხვდენილია. უფრო მეტიც, სუბტროპიკული ხურმა შესაძლებელია გაშენდეს ჩაის პლანტაციებში, როგორც ამავე დროს დამრჩდილავი მცენარე;

– არსებობს მსხვილი სამრეწველო მასშტაბებით მათი დამზადების შესაძლებლობა და ტრადიციები;

– მათგან შესაძლებელია პროდუქციის დამზადება როგორც საკუთარი მოთხოვნების, ასევე ექსპორტისათვის.

ჩამოთვლილ ნედლეულთა შორის ცენტრალური ადგილი თავისი მნიშვნელობით უჭირავს ჩაის, რასაც განაპირებებს:

– პროდუცენტი ქვეყნების მიერ სანედლეულო ბაზის გაფართოების შეზღუდულ პირობებში ჩაის მოხმარებისა და ფასების სტაბილურად მზარდი ხასიათი;

– ჩაის მცენარე არის ერთ-ერთი იშვიათი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელსაც კლიმატის გარდაუცვალი ცვლილებებით გამოწვეული ამინდის გახმირებული ანომალიუ-

რი მოვლენების პირობებში შეუძლია მოგვცეს გარანტირებული მოსავალი (მწვანე მასა).

– ტიპიურ ნიადაგებზე გაშენებული ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელსაც დასავლეთ საქართველოს პირობებში სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით აღტერნატივა არ გააჩნია. მრავალგზის ძიების მიუხედავად ვერ მოხერხდა ჩაის სხვა კულტურით ადექვატური ჩანაცვლება. დასაქმებისა და შემოსავლების მაღალი პოტენციური შესაძლებლობების გამო დასავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის ჩაის წარმოება სოციალური დატვირთვის მატარებელია.

პროექტის მოსალოდნელ წარმატებას განაპირობებს ქართველი მეცნიერებისა და ინჟინერების მიერ დამუშავებული ჩაის პრინციპული, უნივერსალური ტექნოლოგია, რომელიც თავისუფალი ჩაის თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების თითქმის ყველა იმ ძირითადი ნაკლისაგან, რის გამოც საწარმოები კარგავენ მნიშვნელოვან მოგებას.

პროექტით შემოთავაზებული საწარმოს ტექნიკურ ბაზად საქართველოში ამჟამად მოქმედი ჩაის გადამუშავებელი საწარმოები ვერ გამოდგება მათი აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გამო. პროექტის წარმატებისა და მისი შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის მიზანშენონილად მიგვაჩნია ახალი საწარმოს ორგანიზება.

კომპინატის ძირითად საწარმოო ერთეულს წარმოადგენს პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური ხაზი,



რომელიც დაკომპლექტდება როგორც სერიული, ასევე ახლად შექმნილი მოწყობილობებით.

ახალი ტექნოლოგიური ხაზი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია, პასუხობს ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს. სახელდობრ:

– „ხაზი“ სამივე სახის ნედლეულის გადამუშავებისას გამოიყენება;

– „ხაზი“ უზრუნველყოფს:

### გაცემის ჩაის წარმოებისას

ჩვენს მიერ დამუშავებული პრინციპულად ახალი, მოქნილი, უნივერსალური ტექნოლოგიის შესაძლებლობების გამოყენებით

– შრომითი დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას ნედლეულის წარმოებაში;



– ნებისმიერი მექანიკური შემადგენლობის ნედლეულის პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას;

– სხვადასხვა სახის (შავი, მწვანე, ყვითელი, წითელი და თეთრი) ჩაის ერთიანი ტექნოლოგიის განხორციელების შესაძლებლობას;

– ნედლეულის მეტნაკლებად თანაბარ დამზადებას და, ამდენად, საწარმოო სიმძლავრეების თანაბარ დატვირთვას სეზონურ ჭრილში;

– საწარმოო ფართის მნიშვნელოვან შემცირებას;

– ენერგოდანახარჯების შემცირებას ერთეული პროდუქტის წარმოებაზე;

– როგორც ზემოთჩამოთვლილის შედეგი, რესურსის სრული და სრულყოფილი ათვისების შესაძლებლობას, საწარმოსა და ნედლეულის მწარმოებელთა შემოსავლების მნიშვნელოვან გაზრდას.

### სუპტიროპიული ხურმის გადამუშავებისას

– მაღალხარისხოვანი გამშრალი ხურმის (ჩირის) წარმოებას;

– ხურმის ფეხნილის დამზადებას საკონდიტრო მრეწველობისათვის.

### ციფრუსოვანთა ნაყოფების გადამუშავებისას

– წატურალური წვენის გამოსავალის გაზრდას;

– წაყოფების მშრალი კანის წარმოებას;

– საკონსერვო მრეწველობისათვის ნაყოფების მომზადებას.

მეორე რიგის გარკვეული ინვესტირების შემდეგ ხაზის ძირითადი მოწყობილობები შეიძლება გამოყე-

– წარმოების გადასვლა ინდუსტრიულ საწყისებზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას;

– ჩაის წარმოებაში მივაღწევთ აბსულუტურ უპირატესობას, ანუ გვექნება უნარი ვანარმოოთ უფრო მეტი საქონელი, ვიდრე სხვა ქვეყანა აწარმოებს რესურსების იგივე მოცულობისას;

– გვიჩნდება შანსი საექსპორტო საგნად ვაქციოთ არამარტო კვების პროდუქტები, არამედ ტექნოლოგიები და ტექნოლოგიური ხაზები;

– სოფელ ადგილებში სანედლეულო ბაზის თანაზომიერი სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმო სტიმულს მისცემს დანაწევრებული მიწის ნაკვეთების გაერთიანებას საერთო ეკონომიკურ მიზნის მისაღწევად. იგი არამარტო შეაჩერებს სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციას, არამედ მოიზიდავს და დაამაგრებს ინჟინერ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ კადრებს, დააბრუნებს სოფელს ტრადიციული ქართული სოციალურ-კულტურული ცხოვრების ორბიტაზე;

– სოფლის რესურსები (ბუნებრივი, მატერიალური და ადამიანური) გახდებიან ერთი მწყობრი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილები, რომელთაც ერთმანეთთან ექნებათ გარკვეული შინაგანი კავშირი, ხოლო გადამამუშავებელი საწარმოს მაღალი ხარისხის მოქნილობა უზრუნველყოფს სისტემის შეგუებას დიდ დიაპაზონებში ცვალებად გარემო პირობებთან დღეს და მომავალში.

პროექტის რეალიზაციის მიზნით მიზანშენონილად მიგვაჩნია სახელმწიფოსა და/ან სხვა დაინტერესებული იურიდიული ან ფიზიკური პირის მიზანილებით შეიქმნას ვენჩიურული კომპანია, რომელიც არამარტო გამოივლენს შემოთავაზებული ინოვაციების რეალურ შესაძლებლობებს, არამედ იზრუნებს მათი შემდგომი გავრცელებისა და სრულყოფა-განვითარებისათვის.

### პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგები:

– ქართული სოფლების განვითარებისათვის პრიციპულად ახალი ტექნიკური ბაზის შექმნა;

– ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ადგილობრივი რესურსების სრული და ეფექტური გამოყენებით;

– ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტის შემოსავლების გაზრდა იმ დონეზე, როცა მათ მართლა გაუჩინდებათ მყარი ეკონომიკური მოტივაცია;

– მეურნეობის მოცემულ დარგში ინვესტიციური პოტენციალის აღდგენა;

### ალაზანი გორგავა, თუმც გასილია, ზარ გაპრიტიშ

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კულტურული ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური

# ჩაის ახალი კლანტაციაშის გაშენებაზე დროულად უძა ვიზუროთ

ჩაის არსებული კლანტაციაშის აღდგენა-რეაგილიტაცია, რომელიც სახელ-მიწოდებული პროგრამაში, „ჩაის“ ფარგლებში მიმდინარეობს, ერთგვარ მომიღვაციას ქმნის დარღვის განვითარებისათვის. მომდევნო ეფაზზე რეაგილიტაცია უძა განხორციელდეს ახალი კლანტაციაშის გაშენების ხარჯზე.

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც უკვე მეორე წელია მიმდინარეობს, ჩართულია კერძო კომპანიები, შ.პ.ს.-ები, კომპერატივები სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონებიდან. რეაბილიტაციის პროცესში გამოჩენდა ბევრი ხარვეზი და გაუთვალისწინებელი მომენტები, თუმცა, ჩვენის აზრით, პირველ ეტაპზე ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მაინც ერთჯერადი დროებითი ღონისძიებაა, რადგან ისედაც ასაკოვანი (70-80 წელი) ჩაის ბუჩქები სტადიური გაასალგაზრდავების მიუხედავად ვერ მოგვცემენ ჩვენთვის სასურველ მაღალ და ხარისხოვან ნედლეულს. მაში, რა არის გამოსავალი? დროა რეალურად ვიფიქროთ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაზე ისე, როგორც ამას აკეთებენ ჩაის მნარმანებელი კლასური ქვეყნები, სადაც ყოველწლიურად ხდება მთელი ნარგაობის 2-3%-ის ამოძირება და ახალი პლანტაციების გაშენება მაღალპროდუქტიული ჯიშებით.

მაშინ, როდესაც მსოფლიოში ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება და მითუტეტეს ქართულ ჩაიზე, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ნაკლებკონიან პროდუქტზე, რატომ არ უნდა გაგვაჩნდეს ინტერესი და სახელმწიფოებრივი ხედვა ამ დარგის ინტენსიური განვითარებისათვის? ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ - დასავლეთ საქართველოს ტიპიურ წითელმიწა, ენერმინა და ყვითელმიწა ნიადაგებზე ჩაის კულტურას ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოში დღეისათვის მოქმედმა კომპანიებმა, შ.პ.ს.-ებმა, კომპერატივებმა თამამად უნდა გადადგან ნაბიჯი თავისუფალ ფართობებზე ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ასევე დაკინებული, უპერსპექტივო ჩაის პლანტაციების ამოძირებაზე და ახლით შეცვლაზე. ფერმერულ-გლეხური მეურნეობები, რომლებმაც გასული 15-20 წლის მანძილზე სპონტანურად ამოძირებეს ჩაის ნაკვეთები და სხვა კულტუ-

რები გააშენეს, დღეს ბევრი მათგანი აღიარებს დაშვებულ შეცდომებს. ამ ვანდალიზმს ხელს უწყობდნენ ასევე ხელისუფლების ზედა ეშელონებში მოკალათებული „გაიპატრიოლები“, რომლებიც ჩაის მონურ-ულტურად აცხადებდნენ. ჩვენ, მეცნიერ საეციალისტები, თავიდანვე ვწერდით და ვაპროტესტებდით მათ ქმედებებს, თუმცა, უშედეგოდ. საპასუხოდ დღეს ბევრი მოგვმართავს კითხვით, სად შეიძლება ვიშმუროთ თესლი ან ნერგი ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად? პასუხი ერთია: არ არსებობს ჩაის სპეციალური სათესლები და არც სანერგები. ყველაფერი, რაც კი მეჩაიერების დარგს ამ მიმართულებით გააჩნდა, სტიქიურად განადგურდა. ის მცირე რაოდენობის თესლიც კი, რომელიც შემოდგომაზე პარტიზანულად გროვდება ჩვენთან შემორჩენილ ჩაის პლანტაციებში, – გააქვთ აზერბაიჯანსა და თურქეთში ჩაის ახალი ნაკვეთების გასაშენებლად.

უკანასკნელ წლებში კლიმატური პირობების მკვეთრი ცვალებადობის ფონზე მავნებელ-დაბადებათა ინტენსიური განვითარების შედეგად, თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი და უხარისხო მოსავლიანობის გამო ჩვენს მოსახლეობას რეალურად გაუჩნდა მოტივაცია ჩაის არსებული ნარგაობის რეაბილიტაციისა და ახლის გაშენების თაობაზე, რაც კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია.

მეჩაიერების დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კარგი იქნება, თუ ქვეყნის ხელისუფლება შეიმუშავებს და სამოქმედოდ მიიღებს „ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების სახელმწიფო პროგრამას“, რომლის შესრულება თანადაფინანსების პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. აქვე პირველი რიგის ამოცანად უნდა დაისახოს პლანტაციების გასაშენებლად საჭირო ჩაის ხარისხოვანი თესლით მოსახლეობის უზრუნველყოფის საკითხი. პირველ ეტაპზე ამ პროცესში ჩართული უნდა იქნას საპარტიორო ფონდი, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ



ნეთოან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შემოიტანს და ბენეფიციარებს უზრუნველყოფს ჩაის პლანტაციების გასაშენებელი თესლით. შემდგომ ეტაპზე – თვით საქართველოს ტიპიურ მეჩაიერების ზონებში უნდა შეიქმნას ჩაის მაღალხარისხოვანი ჯიშების სპეციალური სათესლებლანტაციები, რომლებიც ადგილობრივი წარმოების თესლით უზრუნველყოფებ მოსახლეობის მოთხოვნების და კამაყოფილებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალური კლიმატური ცვლილებების ეპოქაში, რომელიც უკვე მიმდინარეობს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დარაიონებისა და განაშენიანების სწორ და რაციონალურ სისტემას. ჩვენ ათეული წლების წინ ვანონსებდით აღნიშნული პრობლემის მიზანმიმართულად ამოქმედებას, თუმცა, ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი სასოფლო-სამეურნეო დარგების პრიორიტეტები, მოსახლეობა ქალტურად მოქმედებს და ცხოვრობს „დღევანდელი კვერცხების“ ფილოსოფიით, სპონტანურად აშენებს ისეთ კულტურებს, რომლებიც საპაზრო ლირბულებით ამ მომენტისათვის მომენტისათვის მაგრამ ვერ აანალიზებს მსოფლიო ბაზარზე კულტურათა წარმოებისა და კონკურენციის მოსალოდნელ მიმებ შედეგებს, ასევე არ ითვალისწინებს ახალი კულტურებისათვის მოსალოდნელ იმ არასტაბილურ კლიმატურ პირობებს, რომლებსაც ჩვენს სუბტროპიკებში მოაქვს კატასტროფული შედეგები. ვინ უნდა მისცეს მათ სწორი რეკომენდაცია? რა თქმა უნდა, შესაბამისშა სახელმწიფო სტრუქტურებშა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებულ

და პრაქტიკულად აპრობირებულ რე-კომენდაციებს.

დღეს მონაცემებით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თხილის კულტურა ლიდერობს, შემდეგ – ციტრუსები და ჩაი, თუმცა, ფერმერულ მეურნეობებში პროგრამა „დაწერებე მომავალის“ ფარგლებში აქტიურად აშენებენ კენკროვნებს (ლურჯი მოცვი, მაყვალი, უოლი), კაკლოვნებს, კურკოვნებს, თესლოვნებს, რომელიც სახელმწიფოსაგან 70%-იან თანადაფინანსებას ითვალისწინებს. ამ პროგრამით სასარგებლო საქმე კეთდება, თუმცა, კარგი იქნებოდა ამ პროგრამაში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაც ყოფილიყო ჩართული.

სახელმწიფოსაგან მეჩაიერების დარღისადმი ასეთმა ნეგატიურმა და-

ყოველწლიური გარანტირებული და სტაბილური მოსავალი.

დასავლეთ საქართველოს მჟავე წითელმინა, ენერმინა, ყვითელმინა ნიადაგებისადმი დიდი შემცუებლობა.

პლანტაციების ხანგრძლივი (80-100 წელი) საექსპლუატაციო ვადა.

მუშახელის დატვირთვის ხანგრძლივობა (7-8 თვე).

ყინვაგამძლეობა, ზამთარგამძლეობა, მავნებელ-დავადებათა მიმართ მდგრადობა.

მცენარის ბიოპოტენციალის მაქ-სიმალური-უდანაკარგო გამოყენება (ნაზი, მოუხეშო, უხეში ნედლეული).

ბ) ეკოლოგიური ასპექტები:

ჩაის მცენარის ფესვთა სისტემა, როგორც ნიადაგდამცავი, ეროზიუ-

ნედლეულის საშუალო სარეალიზაციო ფასი: კგ2,0-2,5 ლარი.

მზა პროდუქციის საშუალო სარეალიზაციო ფასი: კგ20-25 ლარი.

ერთი კგ მზა პროდუქციის საშუალო თვითღირებულება: 13-15 ლარი.

ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციისაგან მიღებული მზა პროდუქციის ღირებულება: 30-40 ათასი ლარი.

სუფთა მოგება: 20-22 ათასი ლარი.

პროდუქციის შენახვის, ტრანსპორტირების და რეალიზაციის მთელი ნილის განმავლობაში შესაძლებლობა.

აი, იმ ფაქტორთა მცირე ჩამონათვალი, რომლითაც ეს კულტურა გამოიჩინა და აღიარებას პოულობს მსოფლიო მასშტაბით. თუ ამას დავუმატებთ ჩაის, როგორც სასტელის სამურნალო-პროფილაქტიკურ და

დიეტურ მნიშვნელობას, მაშინ ამ კულტურის ღირებულება შეუდარებლად გაიზრდება. საბედნიეროდ, როგორც ადრინდელი გამოცდილება გვიჩვენებს, ჩვენი ქვეყნის ნიადაგურ - კლიმატური პირობები იძლევა ამ კულტურის ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების მაქსიმალურ გარანტიას.

დღესისათვის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ ჩაის კულტურის აღდგენა-რეაბილიტაციისა და ახალი ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის საჭირო მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციების შემუშავებაზე, ფერმერულ და გლეხურ მეურნებებს უწევენ პრაქტიკულ დახმარებას არსებული ჩაის პლანტაციების შესწავლა-დიაგნოსტიკის, ნიადაგის ქიმიური ანალიზის ჩატარების და სარეაბილიტაციო აგროტექნილოგიური პროგრამების მომზადების საკითხებში. ასევე კვალიფიციური დახმარება გაეწვეათ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების საკითხებითაც.

ჩაის ნარგაობა, როგორც მზის სხივური ენერგიის აკუმულირებისა და ზამთრის პერიოდში რბილი მიკროკლიმატური პირობების შექმნის საშუალება.

ჩაის ნარგაობა, როგორც მარადმწვანე მცენარე – წლის ყველა პერიოდში ატმოსფეროს სუფთა უანგბადით გამდიდრების საშუალება.

ჩაის ნარგაობა, როგორც მზის სხივური ენერგიის აკუმულირებისა და ზამთრის პერიოდში რბილი მიკროკლიმატური პირობების შექმნის საშუალება.

ჩაის ნარგაობა, როგორც ნიადაგის გამაკეთობილობების საშუალება.

ჩაის ხავერდოვანი მწვანე ზედაპირი, როგორც ეგზოტიკურ-დეკორაციული განაშენიანების საუკეთესო მიზანი, დასვენებისა და ტურიზმის განვითარების საუკეთესო პირობა.

გ) ეკონომიკური ასპექტები:

ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა: 6-7 ტონა ნედლეული (1,5-2,0 ტონა მზა პროდუქცია).

**ზაზი გაბრიელი,**  
**ს/მ მეცნიერებათა დოკტორი,**  
**პროფესიონალის;**

**ოსმა გასილია,**

**ს/მ მეცნიერებათა დოკტორი,**  
**სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური**



მოეთდებულებამ მძიმე დაღი დაასვა სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და სოფლად დარჩენილი მოსახლეობის ის მცირე ძალაც კი სეზონურად თურქეთში გადის ჩაისა და თხილის საკრეფად. დღეს ყველა ვაღიარებთ დამვებულ შეცდომებს, მაგრამ დარგში რადიკალური გარდაქმნები ვერ ხორციელდება, არადა ჩაის კულტურის პროცესანდა, დარგისადმი ხელშეწყობა ამ ზონის გაღატა კულტურული დაღი დაასვა სუბტროპიკული კულტურის მიმართ დარგის კულტურული გარდაქმნები ვერ ხორციელდება, არადა ჩაის კულტურის პროცესანდა, დარგისადმი ხელშეწყობა ამ ზონის გაღატა კულტურული დაღი დაასვა სუბტროპიკული კულტურის მათი დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის ძირითად პირობად მიგვაჩინა. ბევრი შეიძლება წერო ჩაის კულტურის დადგებით მხარებზე, თუმცა, ჩვენი ფერმერებისათვის, გლეხებისათვის და ზოგადად მოსახლეობისათვის კარგი იქნებოდა, თუ კიდევ ერთხელ მიგანიდებდით მოკლე ინფორმაციას მეჩაიერების დარგის სამეურნეო, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ფასეულობებზე.

ა) სამეურნეო ასპექტები:

ჩაის კულტურის ადაპტირების მაღალი უნარი გლობალური კლიმატური ცვლილებების მიმართ.

რუპრიცას უძლვება „ორგანის ფირმა“

## რა რეზონა კითხვა აგროცომით?

მოგვითხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუს მიწის უძლვები ფირმა „აგროცომის გვერდი საქართველოს“ საშუალებით.

**1. რა განაირობებს საშემოდგომო ხორბლის უფრო მეტად გავრცელება გამოწვეულია მისი რიგი უპირატესობებიდან: მარცვლიდან მიღებული პრიდუქციის ხარისხის უკეთესია; უკეთესად იყენებს ნიადაგის ტენს; ივითარებს მძლავრ ფესვთა სისტემას; აქვს ბარტყობის მეტი უნარი და უფრო უხვმოსავლიანია.**

**2. რა უნდა გავითვალისწინოთ ნივრის დარგვის დროს?**

პირველ რიგში, წინა კულტურის ანარჩენაპისგან ნაკვეთი უნდა გასუცთავდეს, მოიხსნას, დაიდისკოს, დაიფრეზოს, შეტანილ იქნას მინერალური სასუქები, შემდეგ დაბაზოვდეს და ბოლოს დაირგოს.

დარგვა ხდება ყინვების დაწყებამდე დაახლოებით 35 დღით ადრე მწკრივებად ან ზოლებად. დასარგავად უმჯობესია გამოყიუფნოთ მსხვილი კბილები. წვრილკბილა ნივრის ჯიშების დარგვის ნორმა 700-1200კგ/ჰა, მსხვილკბილანის კი - 1600-2500კგ/ჰა.

**3. მანერისებს სასუჟი აგრსოლ 19:19:19 -ის გამოხადვება-ლოგა, მისი გამოყენება თუა შესაძლებელი წვეთოვანი გამოვახისას და რა არის მისი რეალობებული ღოზა?**

სასუჟი აგრსოლ 19:19:19 არის კრისტალური ფხვნილი. გამოიყენება როგორც ფოთლოვან, ასევე წვეთოვან გამოკვებაში: ხეხილში, ბოსტნეულსა და მარცვლოვან კულტურებში.

აგრსოლ NPK 19:19:19 + TE-ის შემადგენლობა:

საერთო აზოტი (N) - 19%

ნიტრატული ფორმა (N-NO<sub>3</sub>) - 5,50%

ამიაკური ფორმა (N-NH<sub>4</sub>) - 5,60%

ამიდური ფორმა (N-NH<sub>2</sub>) - 7,90%

ფოსფორის პენტაოქსიდი (P<sub>2</sub>O<sub>5</sub>) - 19%

კალიუმის ოქსიდი (K<sub>2</sub>O) - 19%

ბრომი (B) - 0,01%

სპილენდი (Cu) - 0,003%

რკინა (Fe) - 0,025%

მანგანუმი (Mn) - 0,013%

მოლიბდენი (Mo) - 0,001%

თუთია (Zn) - 0,004%

ნატრიუმი (Na) - <0,5%

ქლორი (Cl) - <0,5%

მძიმე მეტალები:

კადმიუმი (Cd) - <9მგ/კგ

ქრომი (Cr) - <150მგ/კგ

ტყვია (Pb) - <4მგ/კგ

დარიშხანი (As) - <9მგ/კგ

ვერცხლისნყალი (Hg) - <0,01მგ/კგ

ფოთლოვანი კვების რეკომენდებული დოზა: ბოსტნეული 25-30გრ/100ლ წყალი, გამოიყენეთ ყოველ 15 დღეში; ხეხილი 30-50გრ/100ლ; მარცვლეული 15-20გრ/100ლ.

წვეთოვანი კვების რეკომენდებული დოზა: ბოსტნეული 250-300გრ/100ლ წყალი, გამოიყენეთ ყოველ 15 დღეში; ხეხილი 300-500გრ/100ლ; მარცვლეული 150-200გრ/100ლ.

თავსებადია ყველა გავრცელებულ აგროქიმიკატთან და სასუქთან.

### ვეტერინარი

რუპრიცას უძლვება „ორგანის ფირმა“

## როცა ვეტერინარია ავირჩი, ეს საციალოება კონულებული არ იყო

ეთო გერიკაბიძე საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სავარაუდო მედიცინის ფაკულტეტის განათლების სამსახურის დასამუშავებელი უნივერსიტეტი მასში მოიპარა. სწავლის პერიოდში აპტიკურად გადიოდა პრაქტიკას, მსწრებლება სწავლებებს და გულშემატება ცენტრებში ჩატარდა.

სოფლისა და ცხოველების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული ეთოს ბავშვობიდან ჰქონდა. პროფესიის

ასარჩევადაც ბევრი არ უფიქრია და დღეს თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილია. მისი აზრით,



დღეს, როგორც არასდროს, დარგს ახალგაზრდა პროფესიონალი კადრები სჭირდება, პროფესიონალი კი ყველა სფეროში დაფასებულია.

„დღეს სოფლად ძირითადად ასაკოვანი ვეტერინარი სპეციალისტები არიან. მათ, ცხადია, დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ, მაგრამ თანამედროვეობაში უამრავი სიახლეა, იქნება ეს ტექნოლოგიების, მიდგომებისა თუ პრეპარატების კუთხით... მათთან ინფორმაცია კი ნაკლებად აღწევს. როცა ვეტერინარის სპეციალობას ვირჩევდი, ეს დარგი ნაკლებად პოპულარული იყო და უკვირდათ, ქალს როგორ შემეძლო მემუშავა ამ მეტად რთული განხრით. საბედნიეროდ, დღეს დამოკიდებულება მკვეთრად შეცვლილია, რაც ძალიან მახარებს.

სწავლის პერიოდში სტუდენტები პრაქტიკული საქმიანობით მაქსიმალურად უნდა დაიტვირთონ. სახელმწიფო იუნივერსიტეტის სტუდენტებს ხელს უნდა უწყობდნენ, რათა სტუდენტებმა შეძლონ სწავლის დროს მეტი პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ, რადგან მხოლოდ თეორიული განათლება, ვეტერინა-

რად რომ ჩამოყალიბდე, საკმარისი არ არის. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა ვერ ვახდენთ დაავადების დიაგნოსტიკებას და სწორი დანიშნულების გაცემას. ბევრი ვეტერინარი პრაქტიკაში დღეს ისევ „მოძველებულ“ სამკურნალო საშუალებას იყენებს, თანამედროვე პრეპარატებით კი შეგვიძლია გაცილებით მოკლე დროში უკეთესი ეფექტი მივიღოთ,“ – ამბობს ახალგაზრდა ვეტერინარი.

ეთო ბერიკაიძე დღეს შპს „როქის“ ვეტერინარ და ექიმ-ფარმაცევტიად მუშაობს.

„ჩვენთან ყოველდღიურად მოდიან ფერმერები სხვადასხვა პრობლემებით, სეზონური თუ მოულოდნელად ნამოჭრილი სირთულეებით და ითხოვენ დახმარებას. ჩვენ ვცდილობთ კვალიფიციური კონსულტაცია გავუნიოთ და თუ საჭიროა ადგილზე გადავამოწმოთ ვითარება. ცხოველების ჯანმრთელობაზე ზრუნვა ისევე საპასუხისმგებლოა, როგორც ადამიანების ჯანსაღი პროდუქტი, და გაქვა განსაღი ცხოველი, ფრინველი და გაქვა ჯანსაღი პროდუქტი, დაცული ხარ.“

როცა ოჯახი ერთ სულ ძროხაზეა დამოკიდებული და ვერ ადგენს, რა მიზეზით არის პირუტყვი ავად, მისი გასაჭირი შეუძლებელია გულთან არ მიიტანო. ამიტომ ვცდილობთ ყოველთვის გულისხმიერები ვიყოთ. ჩემთვის თითოეული ფერმერის პრობლემა ძალზე საპასუხისმგებლოა.

ჩენი კომპანიის ცხელი ხაზი თითქმის არ ჩერდება. საქართველოს რეგიონების გარდა გვირეკავენ აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თევენწარმოიდან უკრაინიდან და, თურქეთიდან კი დაგვიკავშირდნენ და კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში დახმარება გვთხოვთ“ – ამბობს ახალგაზრდა ვეტერინარი ეთო ბერიკაიძე.

ეთო ახალგაზრდებს ურჩევს, პროფესიის არჩევისას დაფიქრდნენ, სურთ თუ არა ვეტერინარის პროფესიით მუშაობა, თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩერებით გაიმუშაონ, უყვარდეთ თავიანთი საქმე და თავიანთი წარმატებით ხელი შეუწყონ დარგის განვითარებას.

**თბილი მოზარდები**

## რუბრიკას უძღვება „ომავლის ზერმერი“

# საცოლეს ვეტაციის წარმატებას განაპირობებს

თელავის გუნიციალიტეტის სოცელ ნაფარეულში განახა გიურაშვილის ვეტერინარული აზოიანი პერიოდ 2 ცელის, რაც ამოქანდა და უპავი ზერმერების დღობა მოიავა, რასაც გარევაულილებად ხელი შეასრულა. არა მარტივი გამოცდილი ცოდნა მიმდებარე ტერიტორიის არსად იყო ვეტერინარული აფთიაქი, კვარგავდი დვირფას დროს, ზოგჯერ ამაღდაც, ამიტომ გადავწყვიტე სოფელში ვეტაციის გამეხსნა. ამაში დამეხმარებ და მხარში ამომიდგნენ შვილი და სიძე, რომელიც პროფესიით ვეტერინარი ფერმერია. ჩემი ვეტაციის გამოცდილი ცოდნა მიმდებარების ფარგლებში გამოიწვია. ამასთანავე, ეს არის ნამდვილად პროფესიონალების გუნდი, რომლებიც ხელს გვიწყობენ, რომ გავიღოთ გარემოსა და გვინდება ტრენინგებს, სადაც მათ მიერ მოწვეული უცხოელი სპეციალისტები გვაცნობენ და გვიზიარებენ თავიანთი ქვეყნების გამოცდილებას ჩენი სფეროსა და პროფესიაში.

ზე მნიშვნელოვანია სანდოობა.

ვეტაციის გახსნის შემდეგ აქტივურად ვთანამრომლობ სადისტრიბუციო კომპანია „როქთან“ და ვიცი, რომ ამ კომპანიის პრეპარატების სარისხი ფასზე მაღალია. ამასთანავე, ეს არის ნამდვილად პროფესიონალების გუნდი, რომლებიც ხელს გვიწყობენ, რომ გავიღოთ გარემოსა და გვინდება ტრენინგებს, სადაც მათ მიერ მოწვეული უცხოელი სპეციალისტები გვაცნობენ და გვიზიარებენ თავიანთი ქვეყნების გამოცდილებას ჩენი სფეროსა და პროფესიაში.

კომპანია „როქთან“ „MOLI კახეთში“ პროექტის ფარგლებში აღჭურვა ჩემი

ვეტაციის გარემოსა და ინტერიერის გამო ვეტაციის ფერმერებისთვის კიდევ უფრო სასიამოვნო ადგილად იქცა. ყოველდღე მოდიან ფერმერები, ხვდებათ კომფორტული გარემო, მათთვის საინტერესო კითხვებზე იღებენ საჭირო კონსულტაციას და აუცილებელ პრეპარატებს,“ – ამბობს მანანა გიურაშვილი.

ქალბატონ მანანას განსაკუთრებულად უყვარს თავისი პროფესია. მასთან მისულ ფერმერებს სიამოვნებით უზიარებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას, თუ როგორია თანამედროვე მიდგომები და რა არის საუკეთესო გამოსავალი კონკრეტულ სიტუაციაში.



„მუშაობის დროს ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ცხოველის სიცოცხლეს ნუთები წყვეტდა, მაგრამ პრეპარატების შესაძენად უნდა წავსულიყოვანი თელავში, რომელიც 25 კმ-თანაც სოფლიდან დაშორებული. მიმდებარე ტერიტორიის არსად იყო ვეტერინარული აფთიაქი, კვარგავდი დვირფას დროს, ზოგჯერ ამაღდაც, ამიტომ გადავწყვიტე სოფელში ვეტაციის გამეხსნა. ამაში დამეხმარებ და მხარში ამომიდგნენ შვილი და სიძე, რომელიც პროფესიით ვეტერინარი ფერმერია. ჩემი ვეტაციის გამოცდილი ცოდნა მიმდებარების ფარგლებში გამოიწვია. ამასთანავე, ეს არის ნამდვილად პროფესიონალების გუნდი, რომლებიც ხელს გვიწყობენ, რომ გავიღოთ გარემოსა და გვინდება ტრენინგებს, სადაც მათ მიერ მოწვეული უცხოელი სპეციალისტები გვაცნობენ და გვიზიარებენ თავიანთი ქვეყნების გამოცდილებას ჩენი სფეროსა და პროფესიაში.

რუპრიცას უძღვება „მომავლის ფირმარი“

## გარეთ კითხვა ვეტერინართან?

მოგვლეოთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
აპარატ მიღებთ უზრუნველყოფის საქართველოს სამსახური.

1. ჩატა ღორს ნაადრევად დაეცეო მშობიარობა, აროვე-  
სი არათანაბრად მიმდინარეობდა და გორე დღეა არც  
მომზოლი დაუგდია. რას მირჩევთ, როგორ დავხემარო?

ასეთ დროს მნიშვნელოვანია, დროულად გაუკეთოთ  
„ოქსიტოცინი“. შეუქმენით ცხოველს მშვიდი გარემო,  
მშობიარობის დასრულების შემდგომ კი ჩატარებული არცი-  
ბიოტიკოთერაპია („პრიმაფული“, „ოქსიტეტრაციკლინი  
200“ ან „პენბექსი“). თუ ღორი დასუსტდა, აუცილებლად  
გაუკეთეთ „კალისიმინი“ ან „კალფონეტინი“.

2. გარეთ აატარა გაურეობა. ხშირად მშირდება ბა-  
ლაკის ან თიბის დაწუღაცება ცხოველებისთვის. სად  
შევიძიო ასეთი ხელსახლო?

კომპანია „როქი“ ყიდის ბალახის დასაქუცმაცებელ  
ხელსაწყოს (თბილისი, ქეთევან წამებულის №91-ის მო-  
პირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

3. გებას რამდენიმე ხეო, დაახლოებით ერთი ცლის  
ასაკის. ამ ერთი ცლის განვალობაში ჩატარებულ დას-  
ტირდათ გაურენალობა ფალარაზე, უშირდება უსია-  
საგვეგზე გადასვლა. ამზამად ქალიან დასუსტებულე-  
ბი არიან, დარგვიანდა ჭიახე დამუშავებაც. რას მირ-  
ჩევთ? ამზამად მხოლოდ თივას ჭამე.

აუცილებელია რაციონში მშრალი საკვების დამატება  
მარცვლეულის ღერღილის სახით. შეგიძლიათ საკვებდანა-  
მატიც დაამატოთ ღერღილში, შეიძლება საშუალო სისქის  
ფაფის სახით (ზოგჯერ მშრალი სახით საკვებს არ ჭამენ)  
მიცემაც. ამის გარდა, პარალელურად ვუკეთებთ „კალფო-

სეტს“ ან „კალისიმინის“ ორჯერადად, რათა ცხოველს სისუს-  
ტე მოვუსნათ და შემდგომ მოვახდინოთ ჰელმინთებზე  
დამუშავება. ანტიცელმინინტერი ანუ ჭიაზე დამუშავება შე-  
გიძლიათ გააკეთოთ „პრომექტინის“ ან „ვილმექტინ F“-ის  
ორჯერადი ინექციით, ორკვირიანი ინტერვალით. შემდგომ  
ამისა, ცხოველს ვუკეთებთ ვიტამინებს კუნთში („ვიტამინი  
AD3E“ ან „ბეფორველი“). დამუშავებების ამ თანმიმდევ-  
რობით ჩატარება სხვა დროსაც შეიძლება, არასასურველ  
ფალარათებს კი თავიდან ავიცილებთ დედის რძიდან უხეშ  
საკვებზე სწორი გადასვლით. ამ დროს სასმელ წყალში  
შეგვიძლია 10 დღის განმავლობაში პრებიოტიკის, „ოლი-  
გოფოსის“ მიცემა. თუ ცხოველი სამი-ოთხი თვისაა და ან-  
ტიცელმინინტერი დამუშავებაც ჩატარებული აქვს, შესაძლო  
სისუსტის დაძლევა პრეპარატების „რუმიფოსისა“ და „ჰე-  
პავექსის“ ერთობლივი მიცემითაც შესაძლებელია.

4. მყავს გეცველი ძროხა, ვცხოველობ გარობო, მიშირს  
ცხოველისთვის ინეპციის გაპათიაბა. ზოგჯერ ვერ ვა-  
ხერხებ მისვანის მრავალფროვანი საკვების მიღებულე-  
ბას და მოგვარი შემდეგ მისი ცველადობა მცირდება.  
რას მირჩევთ რაიმა ისეთს საკვებში გასარევ საშუა-  
ლობად, რომ მისი ლაპტაცია გაიზარდოს?

არსებობს პრეპარატი „ვიმასაკი“. შეგიძლიათ დააუმა-  
ტოთ ის მშრალ საკვებში 10გრ-ს რაოდენობით 1 ან 2-ჯე-  
რადად. 2-3 კვირის შემდეგ მისი წველადობა საგრძნობლად  
გაიზრდება და რძის სარისხიც გაუმჯობესდება. შეძენა შე-  
საძლებელია „როქის“ ვეტაციტაქში (თბილისი, ქეთევან წა-  
მებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

### 06 ტემა

რუპრიცას უძღვება „მომავლის ფირმარი“

## განვითარების განვითარების კარსაჟის საქართველოში

ამარიცის ვეტერინარული სამეცნიერო კლინიკის მაგისტრი, მიკრო-პი-  
ოლოგის დოკტორი და რეარმუნციის საენიანის პროფესიონალი  
ასოციაცია „მომავლის ფირმარის“ მდარდაშერით შეხვდა ქართველ გვ-  
როველი ვერგერების, დაათვალიერა მათი ვერგერი და ჩატარა ტრანს-  
გიგითავაზობი ინფერიციუს ქალგატონ პენიციერობა, როგორსაც საქართ-  
ველობი გვიპოვრების განვითარების ურსეაზონივებზე და გეოგლიცი

თქვენი პირველი ნაბიჯები ვეტერინა-  
რიაში რთული იყო, როგორც ქალის-  
თვის, ხელისშემძლელი ან ხელისშემ-  
ცვის თუ ყოფილა ქალის ფაქტორი?

ჩემი აზრით, შესაძლოა ზოგიერთი  
ქალისთვის ეს მართლაც პრობლე-  
მა იყოს, თუმცა. მე ძალიან მოტივი-  
რებული, საკუთარ თავზე მომუშავე

და ძლიერი ქალი ვარ. არაფერი მომ-  
ნონს, რისი კეთებაც არ შემიძლია.

როგორია საერთაშორისო სტან-  
დარტები მებოცვრეობაში, რას ით-  
ხოვს ბაზარი?

მომხმარებელს ცოცხალი ბოცვერი  
ნაკლებად აინტერესებს – ის ითხოვს  
ბოცვრის ხორცს. ამერიკაში ჩვენ ორი  
განსხვავებული ინდუსტრია გვაქვს  
– მეხორცული მიმართულება და სუ-  
ლადობრივი. მე ძირითადად მეხორ-



ცული მიმართულების ინდუსტრიაზე ვარ ორიენტირებული. ჩვენ ვეძებთ კურდღელს, რომელსაც მაღალი მოგება აქვს წინის კუთხით. ვეხელმძღვანელობთ ახალი ზელანდის გრანტით კალიფორნიასთან თანხვედრაში და ვერ ვიტყოდი, რომ საუკეთესო, მსოფლიოში გავრცელებული ხარისხი გვაქვს.

**ქართველ მებოცვრეებს ტრენინგი ჩაუტარეთ რეპროდუქციასთან დაკავშირებით. მათ ცოდნას, გამოცდილებას როგორ შეაფასებდით? ასევე მზაობას, გააფართოონ თავიანთი ბიზნესი?**

ვფიქრობ, ფერმერები ძალიან მოტივირებულები იყვნენ. ამ ტიპის „ფერმერი – ფერმერისთვის“ პროგრამები 1998 წლიდან ვარ ჩართული და მართლა ვფიქრობ, რომ ქართველი ფერმერები თავისუფლად, თავაშვებულადაც კი ატარებენ სხვადასხვა ექსპერიმენტებს, რათა ნახონ, რომელი მათგანი იმუშავებს უკეთ. ჩემი აზრით, ეს შესანიშნავია. ვფიქრობ, ქართველმა მებოცვრეებმა ამ ტრენინგით ბევრი ისეთი ინფორმაცია მიიღეს, რომელიც მათ მეურნეობისა და ფერმის განვითარებაში, ბოცვერთა რეპროდუქციის გაზრდაში დაეხმარებათ, რაც, საბოლოოდ, შემოსავალს სწრაფად გაზრდის.

**რამდენად კარგად არიან ისინი ინფორმირებულნი?**

ვფიქრობ, მათი საბაზისო ცოდნა და ინფორმირებულობა საკმაოდ კარგია, ბევრად უკეთესი, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებშიც მე მიმუშავია. როგორც ვთქვი, ძალიან კარგი საბა-

ზისო ცოდნა აქვთ, რაც იმ ცოდნის დაშენების საშუალებას გვაძლევს, რომელიც ჩვენ უნდა მივაწოდოთ და გავუზიაროთ.

**მაღალი ნარმადობის მისაღწევად, შესაბამისი ხარისხით, მოკლედ რომ ჩამოვაყიყალიბოთ მებოცვრის ბიზნეს – გეგმა, რომელი ძირითადი დანახარჯები უნდა გასწიოს ფერმერმა? საშუალოდ, რამდენბოლცვრიანი ფერმაა რენტაბელური და, საბოლოოდ, რამდენად მომვებიანია ეს ბიზნესი?**

იმ ფერმებში, რომლებსაც მე საქართველოში ვესტუმრე, ფერმის დაგეგმარებისას მეტი ცოდნა უნდა გამოიყენონ, რადგან უკეთესი გარემო იქნება ნაკლები დაავადებების გარანტი და დაბალი დაავადებების ფონზე მებოცვრების შესაძლებლობების გაუმჯობესებას მოვახერხებთ.

ერთ ფერმერს თუ ეყოლება ოთხი დედალი და ერთი მამალი ბოცვერი, ერთ წელში მეტი პროტეინისა და ხორცის ნარმოებას შეძლებს, ვიდრე ერთი ფურია ბოცვერები ძალიან პროდუქტიულები არიან და სჭირდებათ მცირე ადგილი, რომლის აშენება, ისევე როგორც მებოცვრების დაწყება, ძალიან იაფი ჯდება. არაპირადლირებული მოვლა და ბოცვერების სწრაფი გამრავლება – ეს ორი ფაქტორი ძალიან კარგია მეხორცული მებოცვრების დამწევბი ფერმერისთვის, რომელსაც დარგის ზრდა და განვითარება სურს.

**მითხარით, როგორც მომხმარებელმა, ხორცის ყიდვისას არჩევანი ბოცვრის ხორცზე რატომ უნდა შევაჩერო?**

ბოცვრის ხორცზე რატომ უნდა შევაჩერო? ბოცვრის ხორცი არის ძალიან მჭლე, ცილების მაღალი შემცველობით, ფაქტიურად ცილების სახლია. ხასიათდება ქოლესტერინის ძალიან დაბალი შემადგენლობით და არის ცოტა უფრო მაღალტენიანი ხორცი. აქედან გამომდინარე, იგი ბევრად ჯანსაღი და ჯანმრთელია, ვიდრე ბაზარზე ხელმისაწვდომი სხვა ხორცი. ლორის ხორცი მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი და ყველაზე არაჯანსაღია. ბოცვრის ხორცი თითქმის ყველაზე ჯანსაღია, რომელიც შეიძლება მიირთვა.

**2015 წლის მონაცემებით, საოჯახო ტიპის ფერმერული მეურნეობა დაახლოებით 1800-მდე, ხოლო მებოცვრების ფერმა – 10-მდე. თოთვეულ ფერმაში არის არანაკლებ 50-100 დედალი ბოცვერი, 20-მდე მამალი და 200-დან 500-მდე სახორცე მოზარდი. ამ მონაცემებით როგორ ხედავთ ჩვენი განვითარების პერსპექტივას და ექსპორტზე გასცლის შანსს?**

ვიფიქრობ, საქართველო ბოცვრის ხორცის შესანიშნავი მიმწოდებელი შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნისთვის, მათ შორის, ევროპისთვის – საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი. ამისთვის, ჩემი აზრით, საჭიროა შეიქმნას ფერმერთა გაერთიანებები, თუნდაც, მცირე ფერმერების შემთხვევაშიც. კოოპერატივი აადგილებს მარკეტინგს, ბაზარზე ოპერირებას და პროდუქტის ექსპორტზე გატანას, ასევე, სხვა მრავალ საკითხს, რომელთან გამკლავება დამოუკიდებელი ძალებით ძალიან რთულია, მაგრამ, მგონია, რომ ქართველ ფერმერებს გაერთიანება და ერთად მუშაობა შეუძლიათ.

**რას ურჩევდით დამწყებ სპეციალისტებს, რომელთაც სურთ კარიერა სამეცნიერო კუთხით გააგრძელონ?**

ძალიან მნიშვნელოვანია გაინტერესებდეს მეცნიერება და განვითარება. მეცნიერებას შენი ნაყვანა შეუძლია ყველაგან, სადაც მოისურვებ. როდესაც ახალგაზრდა ვიყავი, ვთქვი, „მე ეს შემიძლია“. ძალიან მიზანდასახული ვარ და ამიტომ ეს გაფაქტორი, დავამტკიცე, რომ როდესაც დაუინინებით, მიზანმიმართულად მუშაობა, ყველაფრის გაკეთებას შეძლია.

ლებ. საქართველოში მოტივირებული, შრომისმოყვარე ხალხია და ვფიქრობ, შეგიძლიათ არაჩვეულებრივი მეცნიერები იყოთ.

**თქვენი აზრით, რა ღონისძიებების გატარება შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან, რათა ეს დარგი უფრო პოპულარული და მომგებიანი გახდეს?**

გეტყვით, რომ ის, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, ნამდვილად არ არის ჩემი სფერო და კომპეტენცია, თუმცა, მგონია, რომ თუ შექმნით კოოპერატივებს და ეს კოოპერატივები მთავრობასთან ერთად იმუშავებენ, ბევრად ადვილი იქნება მებოცვრეობის განვითარება მეხორცული მიმართულებით.

თუ მთავრობა ფერმერთა განათლებას ხელს შეუწყობს, ასევე მოსახლეობის, რომ ბოცვრის ხორცი სასარგებლოა, ეს მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს, რადგან ქართული ბოცვრის ხორცი მართლაც უმაღლესი ხარისხისაა.

**მარიამ ტაქაშვილი**

## მათევზობაში გამოუყოფელი რაზერვების უსახელი

ცოდნილია, რომ მათევზობის პრაქტიკაში გამოიხდება რეპიგნაცია და განვითარება საშუალებას იქნება განვითარების პროცესში და ამით მისი თარიღობა გავზიარდოთ. ყოველივე ითვალისწინებას მართოვანებლათა ლილი უნიტური პროცესი შემძნას და გარეული განვითარებური მიმართულებით მუშაობის წარმართვას, სრული სამსახურის და დაავალებათა მიმართ მედები სატპროექტო მიზანის თარიღობას.

აღნიშნულის განხორციელება წარმოუდგენელია დიდი რაოდენობის ხარისხის სასაქონლო პროდუქციის გარეშე, რომელიც 30-50 გრამიან სტანდარტულ მასალას გულისხმობს. დღეისათვის კუმისის, ჯანდარის, გორის, სენაკისა და სხვა წყალსატევების დასათევზიანებლად ხან დასავლეთი და ხან აღმოსავლეთი საქართველოდან ეზიდებიან მოზარდეს. როგორც გასული პერიოდის მონაცემები მეტყველებენ, ამბოლაურის რაონში შაორის წყალსაცავზე ყოველწლიურად ჩაჰავდნდათ ჩასასმელი მასალა ძვირფასი ჯიშის თევზის, პელიადის სახით მაშინ, როდესაც ჩვენი რეზირვების პატრონს ჩვენშივე შეიძლება ჰქონდეს სრულსისტემიანი მეურნეობები ადგილზე თევზის გამოსაყვანად, რაც საშუალებას მოგვცემს გადავდგათ ეკონომიკურად გამართლებული ნაბიჯი და გარკვეულნილად დაზღვეულიც ვიყოთ ამა თუ იმ მეურნეობაში ყოველგვარი დაავადების შემოტანისა და გატანისგან. ზემოთ თქმული გაზრდის თევზის წარმოებას, გააიაფებს სასაქონლო პროდუქციას და წლის ყველა პერიოდში ხელს შეუწყობს შრომითი რესურსების დასაქმებას.

სრულსისტემიანი მეურნეობები მთელი წლის მანძილზე მოქმედებით შეიძლება მოეწყოს ისეთ რაიონებში, როგორიცაა: ამბოლაური, ტყიბული, წალკა, ნინოწმინდა, დმანისი, ქა-

რელი, კასპი, და სხვა.

მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზოგიერთი სახის თევზის, განსხვავებით ძუძუმწოვრებისგან, ხანგრძლივი დროით შეუძლიათ გაძლონ საკვების გარეშე. მაგალითად,  $14^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში ვირთევზას შეუძლია გაძლოს 78 დღე, ხოლო  $9^{\circ}\text{C}$  დროს - 195, ამასთან, მხოლოდ 100 დღის შემდეგ ეტყვობა მცირეოდენი სიგამხდრის სიმპტომები. კაპარჭინას და ღლაბუცას  $16-17^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში შეუძლიათ გაძლონ 250 დღე. ხოლო კობრს - 1,5 წელი. ცნობილია ისიც, რომ გველთევზა ტყვეობის პერიოდში საერთოდ არ იყვებება და საკვების გარეშე 2-3 წელი ცოცხლობს. კობრის გამოსაზამთრებელი მოზარდი  $80^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში წყვეტის საკვების მიღებას, ხოლო  $4^{\circ}\text{C}$  პირობებში გადადის ნახევრად ანაბიოზურ მდგომარეობაში.

აღნიშნულის გათვალისწინება სა-

შუალებას იძლევა შენარჩუნდეს ჩამოთვლილი სანარმოო ჯიშის თევზების საკვები უქონლობის ან დეფიციტის პერიოდში.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შავი ზღვის რეზირვუარი, რომელიც სუბტროპიკული ჰავის გავრცელებას უზრუნველყოფს, ძალიერ ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს თევზის ინტენსიური გამოზრდისთვის, რაც სავეგეტავიო პერიოდის განაგრძლივებით აიხსნება, სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივება კი პირდაპირ კავშირშია პროდუქციის მიღების ინტენსიურობასთან. ზემოთ ჩამოთვლილს ისიც ემატება, რომ კოლხეთის დაბლობი ყველაზე თბილი მხარეა. ამავე დროს იქ აღმოჩენილია და განლაგებული ყველაზე მეტი თერმული წყლები, რომელთა ტემპერატურა  $50-60^{\circ}\text{C}$ -მდე აღწევს, რასაც თევზის ინტენსიური ზრდისთვის არა მარტო ზაფხულის პერიოდში, ზამთარშიც დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს.

სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარების ინტერესები მოითხოვს, რომ სასოფლო წარმოებაში დაინერგოს და გამოყენებული იქნას ეს იაფი და მოხერხებული ენერგიის წყაროები, რომელიც დალემდე არ ყოფილა გამოყენებული მეთევზეობის



პრაქტიკაში. თბილი წყლით სათავე ტბორის მომარაგება სპირალური მე-თოდით აბსოლიტური სიახლე იქნება თევზის წარმოებაში, მისი დროული მოწყობა კი დიდად ავტორიტეტულ-სა და შემოსავლიანს გახდიდა ჩვენი ქვეყნის მეთევზეობას.

ჩვენი ქვეყნის მეთევზეობაში არ-სებული პრობლემებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვების წარმოება და გამოყენების პრობლემა მაშინ, როდესაც ათასობით ტონა საწარმოო ნარჩენი უქმად ნიავდება და ნაწილობრივ ხმარდება მეცხოველეობას.

ცნობილია, რომ კობრი და მისი ჰიბრიდები იკვებებიან როგორც მცენარეული, ისე ცხოველური წარმოშობის საკვებით. უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილია ისეთი გამოუყენებელი რეზერვები, როგორიცაა ბუნებაში და მის წილში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და კვების მრეწველობის წარჩენები, რომლებიც

რად 800 ათას ტონამდე ცხიმი იკარგება, რომლებიც თავისუფლად შეიძლება საკვებად იქნას გამოყენებული. მისი მეოცედი ნაწილის შეგროვება რომ მოხერხდეს, 40 ათას ტონამდე სასარგებლო ცხიმს მივიღებთ. ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ფიჭვის ტყეებში მიტოვებული სიმდიდრე – გირჩები და მათი თესლი, რომელიც 30%-მდე ცხიმს შეიცავს.

საქართველოს კვების მრეწველობა ასი ათასობით ტონა ყურძენსა და ხილ-კენკროვან პროდუქტს ამუშავებდა, რომელთა გადამუშავების შემდეგ მიღებული ხილისა და ჭაჭის წარჩენებიდან მცირე პროცენტული რაოდენობაც საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ მიგვედო პროტეინის, ცხიმისა და ნახშირწყლების უდიდესი რეზერვი თევზის საკვების დასამზადებლად. აღნიშნული წარჩენების მშრალად დამუშავება ფქვილის სახით სხვა კომპონენტებთან ერთად

ყენება თევზის მარაგის გაზრდისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად გვევლინება.

თევზის ბუნებრივი საკვებიდან განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ისეთი მცენარეები, როგორიცაა: ლაქაში, ლელი, ლელქაში და სხვა, რომელთა შემადგენლობაში შედის შაქარი, სახამებელი, ცილები და თევზის ზრდისათვის აუცილებელი სხვა ნივთიერებანი. ამ მცენარეების მოპოვება კი ათასი ტონობით შეიძლება როგორც ტბებში და მათ სანაპირო ზოლში, ისე წყალსაცავსა და არხებში.

თევზის საკვების ჯგუფებში არსებობს ურთიერთშემცვლელი კომპონენტები. თითოეულის სრულყოფილი რეცეპტი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა წარევი საკვების უთვალავი რაოდენობით, არსებულის საფუძველზე შეიძლება შეიქმნას სრულყოფილი საკვები, რომელიც გამოიყენება მხოლოდ თევზის სასაქონლო პროდუქციის მისაღებად. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია ჩამოთვლილი რეზერვების გამოყენებით იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება ერთი დამოუკიდებელი კომბინირებული საკვების დამაზადებელი საამქრო თუნდაც ადრე არსებული მწვანე მასის გადამმუშავებელ-დამაზადებელი საამქროს დონეზე, რომელიც ყველა რაიონში და თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ფუნქციონირებდა. საქართველოს გეოკლიმატური პირობები არსებული რეზერვების გამოყენებით შესაძლებლობებს ქმნის მნიშვნელოვნად შეავსოს მეცხოველეობაში არასახარბიელო მდგომარეობით გამოწვეული ცხოველური ცხიმების დეფიციტი, მთლიანად დაკამაყოფილოს ქართველი კაცის ტრადიციული მოთხოვნა ისეთ დიეტურ პროდუქტზე, როგორიცაა ცოცხალი თევზი და მისგან მიღებული სხვა პროდუქტები.

**თბაზ გავაზული,  
კეტერინარიის დოქტორი,  
პროფესორი**



გამოდგება სრულფასოვან საკვებად თევზის მეურნეობაში. გამოვლენილია და დადგენილი, რომ არსებობს აურაცხელი დღემდე გამოუყენებელი რეზერვები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ ქარხნული დამუშავების შემდეგ თევზის საკვებ კომპონენტებად.

საქართველოს ეროვნული სიმდიდრე ტყეებია, რომელსაც შეუძლია სახალხო მეურნეობას მისცეს დიდი რაოდენობის საკვები, სამკურნალო და ტექნიკური ნივთიერებანი. წიფლის ტყეებს აკადემიკოს ნ. კეცხოველის მონაცემებით 1 მლნ ჰა უჭირავს, რომელსაც 3 მლნ ტონამდე წინიბოს მოცემა შეუძლია. წინიბოს ნაყოფი 20-25% ცხიმია, ე.ი. ტყეში ყოველწლიუ-

მოგვცემს გრანულირებული საკვების სოლიდური რაოდენობით შექმნის საშუალებას, კომბინირებული საკვების მიკროელემენტებით გამდიდრება კი შეიძლება ჭიათურის, ბოლნისის, ცხინვალის, რაჭისა და რიგ რაიონებში მოპოვებული მადნის ძირითადი გადამუშავების შედეგად დარჩენილი მილორნობით ტონა გამოუყენებელი რეზერვებით. აღნიშნული მიმართულებით დავამუშავეთ და წარმატებით გამოვიყენოთ კალიუმ პერმანგანატის პირველადი პროდუქტი თევზის ექტრემარაზიტებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის. მისი ინდივიდუალური კომბინირებული წესით გამოყენების დროებითი მეთოდური დარიგებების გამო-

**დავაზ ხლანია,  
სურსათის ეროვნული სააგენტოს  
უფროსის მრადვილე,  
კეტერინარიის დოქტორი,  
პროფესორი**

# ფეივო

ფეივო საუკეთესო ხარისხის გემრიელ და არომატულ ნაყოფს იძლევა. გამოიყენება ხილის სახით, ასევე მისგან ამზადებან უაღლესი ხარისხის მურაბას, ჯეოს, ხელვას, მარმალაზ, უალკროლო სასხვლებს და ლიქირის. ფეივოს ნაყოფი შეიცავს იონს, რაც მას განსაკუთრებულ საგური-დალო თვისებებს აძიშვის. მცენარე მარადმცვანი 2-3-მ სიმაღლის ბუჩქად იზრდება, საკმაოდ ყინვაგამძლე (-16-18°C) და გვალვაგამძლება.

საქართველოში ფეივოსათვის საუკეთესო აგროკლიმატურ ზონად სახელდება აფხაზეთი, სამეგრელი, აჭარა, გურია და იმერეთის დაბლობი რაიონები. ფეივო კარგად ვითარდება საშუალო და მსუბუქ თიხნარ ნიადაგებზე. ასევე ალუვიალურ, სილნარ, ენერ და სუსტ ენერ ნიადაგებზე, სადაც გრუნტის წყლის სიახლოვე ერთ მეტრზე მეტია. წითელმინა და ყვითელმინა ნიადაგებზე ფეივოს კულტურის ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ფერმერულ მეურნეობაში სადევი-სოდ ფეივოს სპეციალური სამრეწველო პლანტაციები ნაკლებად მოგვეპოვება. ცალკეული ნარგაობის სახით ფართოდაა გავრცელებული ურკების, სუფისი, აბაშის, ცხაკია-ს, ხობის რეგიონებში. ნაყოფებზე მზარდი მოთხოვნების გამო ფეივოს პლანტაციების გაშენებისადმი ინტე-რესი სულ უფრო იზრდება.

ფეივოს სამრეწველო პლანტაციების გასაშენებლად ნინასწარ იღებენ ნიადაგის სინჯას და განსაზღვრავენ მასში საკვები ნივთიერებების არსებობას. ჭარბი ტენისაგან დასაცავად ასრულებენ სამელიორაციო სამუშაოებს. ნიადაგის ნინასწარი დამუშავება ხდება 40-45-სმ სიღრმეზე, შეაქვთ ფოსფორიანი სასუქი 200-250-კგ ერთ ჰექტარზე სუფთა ელემენტის სახით. ნიადაგს კარგად მოასწორებენ და დაგეგმავენ ვაკე ადგილებზე მნერივთა შორის მანძილი 4-მ, ხოლო მნერივში მცენარეთა შორის 3-მ-ის ანგარიშით. პლანტაციის გაშენება უმჯობესია შემოდგომაზე ოქტომბერ-ნოემბერში, ან ადრე გაზაფხულზე თებერვალ-მარტში. გასაშენებლად გამოიყენება პოლიეთილენის პარკებში ნინასწარ გამოყვანილი ორნლიანი სტანდარტული ნერგები. ნერგები გამოიყანება როგორც თესლის თესვით, ასევე კალმების დაფუძვიანებით. ჯიშებიდან რე-

კომენდებულია ფრანგული „ანდრე“ „ბესონი“, „პერე“ ხოლო კალიფორნიული ჯიშებიდან „ჩოისიანა“ „სუპერმა“ და „კულიჯი“. გაშენების წინ მონიშნულ ადგილებში ამოიღებენ 40სმ სიღრმის ორმოს, რომელშიც შეაქვთ 10კგ გადამნვარი ნაკელი და 250გრ რთული მინერალური სასუქი NPK. ნერგს ფრთხილად აშორებენ პოლიეთილენის პარკს და მინის კომთან ერთად ათავსებენ ნინასწარ მომზადებულ ნიადაგის ნარევში, ფრთხილად აყრიან ნიადაგს, ტკეპინან და რწყავენ.

სავეგეტაციო პერიოდში ანარმონებენ რიგთაშორისების 2-3-ჯერად გაფხვიერება-კულტივაციას, ნერგების ირგვლივ უმჯობესია სარეველების ხელით გამოხელვა. გაშენების მეორე წელს უნდა ჩატარდეს დალუპული, ან მექანიურად ძლიერ დაზიანებული მცენარეების ახლით შეცვლა. გვალვიან პერიოდში სასურველია ახალგაზრდა მცენარეების მორწყვა. ზრდასრულ პლანტაციაში (7-10 წელი). იმის გამო, რომ ფეივო ინვითარებს ფუნჯთა ფესვთა სისტემას, საკმარისია სასუქების შეტანის პერიოდში 5-6სმ სიღრმეზე ნიადაგის მსუბუქი კულტივაცია. ორგანული სასუქებიდან შეიტანება ნაკელი ან ტორფებოსტი 20-30კგ ერთ ხეზე. რთული მინერალური სასუქი NPK შეიტანება გაზაფხულზე თითოეულ ხეზე 600-700გრ. მარილის სახით, ხოლო ყვავილობის შემდეგ სასურველია ამონიუმის გვარჯილა 100-150გრ-ის შეტანა ივლისის თვეში.

ეკოლოგიურად სუფთა ნაყოფების მისაღებად რთული მინერალური სასუქები შეიძლება ჩანაცვლოს ბიო-სასუქებმა როგორიცაა: „ბაქოფერტი“ „ჯეოპუმატი“ „აგროვიტა“ და სხვები, რომლებიც სადლეისოდ საქართველოშიც ინარმობიან. ფეივო ინვითარებს კომპაქტურ და შეკრულ ვარჯს, თუმცა, მცენარის მერქნის



ფაშარი აგებულების ტოტები ძალზე მტვრევადია. დაზიანება შესამჩნევი ხდება დიდთოვლიანობის შემთხვევაში. ამისათვის 6-7 წლის ასაკამდე მიზანშენონილია 3-4 ადგილას ვარჯის თოკით შეკვრა, ხოლო ზრდასრულ პლანტაციებში დიდთოვლიანობის შემთხვევაში აუცილებელია ნარგაობის თოვლისგან დაბერტყვა. გაზაფხულზე ზამთრისაგან დაზიანებული ტოტები სეკატორით ან ხერხით მოიჭრება და გაიტანება პლანტაციიდან.

ფეივო ყვავილობს მაისის მეორე ნახევარ-ივნისის თვეში და აქვს მენამული ფერის უხვი ყვავილი. ამდენად, ეს მცენარე დაცულია რა საგაზაფხულო ნაყინვებისაგან, ასევე დეკორაციული თვალსაზრისითაც ძალზე მნიშვნელოვანია. ფეივო მანებლების მიმართ შედარებით მდგრადი მცენარეა, თუმცა, ყვავილობის პერიოდში, რომელიც სუბტროპიკულ ზონაში ხშირი ნალექებისა და მაღალი შეფარდებითი ტენიანობის პერიოდს (ივნისი-ივლისი) ემთხვევა, აქტიურად ვითარდება ყვავილებისა და ნასკების ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების ყავისფერი და ნაცრისფერი ლაქიანობა. ამ პერიოდში აუცილებელია ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება – სპილენდის ქლორუსანგის 0,4%-იანი სამუშაო ხსნარით შენამულა ყვავილობის წინ და ნაყოფის გამონასკვის შემდეგ. სამწუხაროდ იდეალურად გაზრდილი და უხვად მოყვავილე ნარგაობა ხშირად ნამლობის ჩაუტარებლობის გამო უნაყოფო ხდება, რაც სერიოზულ შრომით და ფინანსურ დანაკარგებათანაა დაკავშირებული.



ამიტომ მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს იმაზეც, რომ ფეიონოს უხვი მსხმიარობა უმთავრესად დამოკიდებულია ყვავილობის და გამონასკვის პერიოდში მშრალი კლიმატური პირობების არსებობაზე და წამლობაზე. ამ მხრივ გამოიჩინეა ქვემო იმპერიოსა და კოლხეთის დაბლობის მიკროზონები.

ფეიონო მსხმიარობაში შედის გაშენებიდან მეოთხე-მეხუთე წელს. ნაყოფები მწიფდება ოქტომბერ-

ნოემბერში და იწყებს ჩამოცვენას, ამიტომ ნაყოფის შეგროვება პერიოდულად ხდება. აკრეფილი ნაყოფები ხარისხდება; წერილი ნაყოფები გამოიყენება გადასამუშავებლად, მსხვილი ნაყოფები იწყობა ყუთებში თხელ ფენად და იგზავნება სარეალიზაციოდ. შენახვა შესაძლებელია სპეციალური სამაცივრო დანადგარების პირობებში.

ამრიგად, ფეიონის კულტურის გაშენება-ექსპლუატაცია სუბტროპიკული

ზონის შედარებით მშრალ რეგიონებში სტაბილური მოსავლის მისაღებად გამართლებულია. რაც შეეხება ტენიან უხვნალექებიან რეგიონებს (აჭარა, გურია), აქ ფეიონოს ყვავილობის პერიოდში განსაკუთრებულად ესაჭიროება ნაცრისფერი სიდამპლის ნინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური ღონისძიებების ჩატარება. სრულმოსავლიანი ფეიონოს ბალები ნორმალური მოვლის პირობებში 6-7 ტონამდე ნაყოფს იძლევიან ჰექტარზე.

ინდივიდუალურ საკარმიდამო ნაკვეთებში ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს ეს საუკეთესო კულტურა. მისთვის უპირველეს ყოვლისა უმჯობესია შევარჩიოთ ქარებისაგან დაცული, მშრალი და განათებული ადგილები. გარდა მოსავლისა, იგი, როგორც მარადმნვანე მენამული ყვავილებით შემოსილი მცენარე, საუკეთესო დეკორატიულ-ეგზოტიკურ სანახაობას შესძენს თქვენს ეზოებსაც.

**ზურ გამრიჩიძე,**  
ს.მ. მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

## სასარგებლო კულტურები

# კაბა [ჩვეულებრივი და იტალიური] FOENICULUM VULGARE MILL.

კაბა და ცერეცო ერთ პოტაციურ რეჟახზი შემავალი პიოლოგიურად და გამოყენებით მსგავსი მცენარეებია. სამზუსაროდ, მათი სახელწოდება დღემდე აღრეულია. აღმოსავლეთ საქართველოში კაბას უცოდებენ ერთონვან მცენარეს (ANETHUM GRAVEOLENS L.). იგივე მცენარე დასავლეთში ცერეცოს სახელწოდებითაა ცენოგილი.

ალ. მაყაშვილის ბოტანიკურ ლექსი-კონში დასახელებულია კამა და დიდი კამა. კამაში იგულისხმება Anethum graveolens L. (რუსულად ყკრი), ხოლო დიდ კამად მიჩნეულია მრავალნლოვანი მცენარე – *Foeniculum vulgare* Mill. – ფენები (გერმანულად და რუსულად).

ამავე ლექსიკონში ცერეცო მოიხსენიება არა როგორც ცალკე მცენარის სახელწოდება, არამედ, როგორც კამის კუთხეული სინონიმი.

ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ამ დარგის ცნობილი სპე-

ციალისტები ცერეცოს (*Anethum graveolens* L.) უწოდებენ ერთნლოვან, კამასთან (დიდ კამასთან) შედარებით პატარა ზომის და უფრო მეტად არმატულ მცენარეს. კამის სადგისისებრ ფოთლებს მოტკბო გემო და ანისულისთვის დამახასიათებელი სურნელი დაკვრავს.

ცერეცოს და კამის ერთმანეთისგან განსხვავება თესლებითაცაა შესაძლებელი: ცერეცოს თესლი ბრტყელია, თხელი, ოვალური ფორმის, შემოქმედულია ღია ფერის არშით, შუაგული უფრო მუქია და გასდევს რამდენიმე მწერივი წვრილი ზოლი,

კამის თესლი კი უფრო მასიურია, ზურგის მხარეს ამოზნექილი, არშით გარეშე.

კამის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვის აუზი ითვლება. მიეკუთვნება ნიახურისებრთა – *Apiaceae*-ს ბოტანიკურ ოჯახს (ადრინდელი კლასიფიკაციით ქოლგოსანთა – *Umbelliferae*-ს ოჯახს).

კამის სხვადასხვა ფორმები და ჯიშები არსებობს, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს ორ ჯგუფად – ჩვეულებრივი და იტალიური ანუ ტყბილი კამის სახით.

ჩვეულებრივი კამა გავრცელებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, შუა აზიაში, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთში, ჩინეთში და სხვა.

საბოსტნე ანუ იტალიური კამა გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით იტალიაში, მოჰყავთ აგრეთვე აშშ-ში და კანადაში. საქართველოში ეს კულტურა ჯერჯერობით გავრცელებული არ არის.

კამის ფოთლები მდიდარია ასკორბინის მჟავით, კაროტინით და სხვ. კამის ნაყოფი (თესლნაყოფი) შეიცავს 92-95 % მშრალ ნივთიერებებს, 14-21,5 % ნედლ ცილებს, 12-17,1 % ცხიმებს, 13-26 % უჯრედანას, 9,7 % ნაცარს და 9 % ნიალს.

კამის მნვანე ფოთლები შეიცავენ 0,62-1,54 % ეთერზეთს, ხოლო თესლი 2-6 %-ს. ეთერზეთი მკრთალი მოყვითალო სითხეა, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი ანეტოლი, აქვს ტკბილი გემო, გამოიყენება პარფიუმერიაში, ლიქიორის ნარმოებაში, მედიცინაში მუცლის შებერვისას, შარდის შეკავებისას, უძილობისას და სხვ.

ეთერზეთების შემცველობა დამოკიდებულია მცენარის განვითარების ფაზაზე. პირველად იგი მცირე რაოდენობითაა. მაქსიმუმს აღწევს ყვავილობის პერიოდში, შემდეგ კი მცენარის თესლში.

კამის ფოთლები წვრილი, სადგისისებური ფორმისაა, დაკბილული კიდეებით. ყვავილები შეკრებილია 10-20 სხივისებურ ქოლგაში. ნასკვი ქვედაა, ორბუდიანი, ორი ბუტყოთი, ყვითელი ოქროსფერი ელფერის 5 გვირგვინის ფურცლით.

ყვავილობა იწყება მთავარი დეროს წვერში მოთავსებული ქოლგების საბურველის გახსნიდან 5-6 დღის შემდეგ და გრძელდება 4-6 დღეს. ცენტრალურ ლეროებზე ქოლგების ყვავილობის დაწყებისას პირველი რიგის ღრძერების ქოლგებზე საბურველი იხსნება, რომელიც ყვავილობას იწყებს 8-10 დღის შემდეგ და ამთავრებს 5-7 დღეში. მცენარის ყვავილობა გრძელდება 30-40 დღეს. ყვავილობა იწყება ივნისში და გრძელდება ოქტომბრის ბოლომდე.

ნაყოფი ტყუპთესლურაა, ოვალური, თითქმის მრგვალი, 3,5-6 მმ სიგრძის, 1,5-2 მმ სიგანის და 1 მმ სისქის. ჩვენს პირობებში თესლს იძლევა დათესვიდან პირველ ან მეორე წელს. თესლს აქვს აღმოცენების ცუდი უხარი 30-დან 60%-მდე. სასოფლო-სამეურნეო ვარგისიანობა 45-50 %-ია. აღმოცენების უნარის დასადგენად სინჯა 20-30°C სითბოზე აყოვნებენ

21 დღის განმავლობაში. 1 კგ თესლში 150-500 ათასი მარცვალია. 1000 მარცვლის წონა საშუალოდ 3-4 გრამია. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 2-3 წელიწადს.

კამის თესლი ღვივდება 8-10°C სითბოზე. მკაცრი ზამთრის მქონე ქვეყნებში მცენარე იყინება. საქართველოს ბარის პირობებშიც კი ყოველთვის ვერ იზამთრებს, ამიტომ შემოდგომა-ზამთრისპირა თესვა სარისკოა.

### აგროტექნიკა

კამის ზრდა-განვითარებისათვის ხელშემწყობია ღრმად დამუშავებული, ტენით და საკებელი ნივთიერებებით სათანადოდ მომარაგებული ნიადაგები. კარგად ვითარდება ორგანუ-



ლი სასუქით განოყიერებულ ნაკვეთზე მეორე წელს.

კამა ჩვენ პირობებში ითესება როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე ზაფხულში და გარკვეული რისკით ზამთრის პირასაც.

ადრე გაზაფხულზე თესვის შემთხვევაში ნიადაგის მომზადება იწყება შემოდგომიდან. თუ წინამორბედი კულტურა განოყიერებული იქნა ორგანული სასუქით, მაშინ კმაყოფილდებიან მხოლოდ მინერალური სასუქების შეტანით: ამონიუმის გვარჯილა 200 კგ, სუპერფოსფატი 200 კგ, კალიუმის მარილი 100 კგ. კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქები შეაქვთ შემოდგომაზე მზრალად ხვინის დროს, აზოტიანი სასუქები – თესვისა და გამოკვებისას.

ზაფხულში დასათესად ნიადაგის დამუშავებას იწყებენ ნაკვეთის

ღრმად მოხვნით, რის შემდეგ სწორი იფარცხება, დათესვამდე რამდენიმე დღით ადრე ატარებენ კულტივაციას და ხელმეორედ ფარცხავენ.

კამის თესლი ღვივდება 8-10°C სითბოზე. მკაცრი ზამთრის მქონე ქვეყნებში მცენარე იყინება. საქართველოს ბარის პირობებშიც კი ყოველთვის ვერ იზამთრებს, ამიტომ შემოდგომა-ზამთრისპირა თესვა სარისკოა.

ჩათესვის სილრე 1,5-2 სმ-ია, თესვის ნორმა – 10-12 კგ/ჸა.

საქართველოს პირობებში ადრე გაზაფხულზე ნათესი კამა გარდა გამონაკლისისა მეორე წელს იძლევა თესლს.

მნვანე მასის მისაღებად ბურქი წლის განმავლობაში შეიძლება შეიჭრას ორ-სამჯერ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მომდევნო წლებში მნვანე მასას იძლევა ადრე გაზაფხულზე.

ერთხელ გაშენებული პლანტაცია 3-4 წლის შემდეგ უნდა განახლდეს. მნვანე ფოთლებს აღების შემდეგ ახმობენ ჩრდილში.

თესლის აღება ხდება შემოსავლის მიხედვით. პირველად ცენტრალური ქოლგების, რამდენიმე დღის შემდეგ კი გვერდითი ქოლგების, რომლებსაც აშრობენ აგრეთვე ჩრდილში.

იტალიური ანუ ტკბილი კამა ბოლონიურის და ფლორენციულის სახელწოდებითაც არის ცნობილი. ის ჩვეულებრივი კამისაგან განსხვავდება გამსხვილებული და ხორციანი ფოთლის ყუნწების ნარმოქმნით მცენარის ფუძესთან, რომელიც წარმოადგენს ამ კულტურის ძირითად პროდუქტიულ ნანილს, ე.წ. „თავაკებს“. ამ თავაკების ზომა შეიძლება იყოს სიგრძეში 10 სმ, სიგანეში – 5-6 სმ.

მცენარის სხვა ნაწილებისაგან განსხვავდებოთ თავაკებს ანისულისოფის დამახასიათებელი უფრო ნაკლებად მძაფრი სურნელი აქვს. ამ თავაკებს კულტივაციაში იყენებენ, როგორც ცოცხლად სალათებში, ისე თერმულად დამუშავებულს სხვადასხვა კერძებში, რის შესახებაც მრავალი რეცეპტურა არსებობს.

იტალიური კამის გარემო პირობებისადმი დამოკიდებულება და მოვლა

ჩვეულებრივი კამის ანალოგიურია. მოვლაში განსხვავება გამოიხატება მის ძირითად პროდუქტიულ ნაწილზე – გამსხვილებულ ძირებზე მინის შემოყრაში, რის შედეგადაც მიიღება გათეთრებული, ნაზი და ხორციანი თავაკები.

მოვლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცენარეთა დროულად გამოხშირვას. ჩახშირე-

ბულ ნათესებში ძირი არ დამსხვილდება და სარგებელი მხოლოდ მიღებული თესლის სამკურნალოდ გამოყენებაში იქნება.

თუ გვინდა, რომ თავაკები დიდ-ხანს შეინახოს, მოსავლის აღებისას მცენარები ფესვებიანად უნდა ამოითხაროს, ღრეული 10 სმ-ის სიმაღლეზე გადაიჭრას, ფოთლები შეეცალოს და გრილ სარდაფში ქვიშაში ჩაიმარხოს.

ამ გემრიელი და სასარგებლო კულტურის დანერგვა, რისი ყველა პირობაც არსებობს ჩვენში, ხელს შეუწყობს ბოსტნეულის ასორტიმენტის გაფართოება-გამრავალფეროვნებას.

**პატ ჰაზარიძე,  
მოხა ინსტაციული  
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**

## სავადასევა



პრაქტიკულად ყველა ხე-მცენარე (გარდა ალვისა, თხმელისა და ველური ისამნისა) ადამიანზე გამაკურნებელ გავლენას ახდენს, კურნავს ფსიქიურ აძლილობას, ასტიმულირებს გულის მუშაობას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, ხსნის სტრესსა და თავის ტკივილს, თუმცა, მანც ჯობს, ვიცოდეთ თითოეული მათგანის გამაჯანსაღებელი თვისებები და თავისებურებები: არყის ხე ხელს უწყობს ძალებისა და ყურადღების კონცენტრირებას, ენერგიის გადანანილებას ორგანიზმი, ახდენს ჰერის იონიზებას, ახალისებს და ხელს უწყობს შინაგანი წონასწორობის აღდგენას. მისი წვერი საუკეთესო ზოგადგამაჯანსაღებელ საშუალებად მიიჩნევა.

● **ნივთიერება** – ამაღლებს გამძლეობას სტრესების მიმართ და კონცენტრირების უნარს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

● **მუსა** – ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას და აჩქარებს გამოჯანსაღების პროცესს, ეხმარება ადამიანს სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში და ავსებს მას ენერგიით.

● **თაგლის ხე** – კურნავს რევმატიზმს და უძილობას, ხსნის ნერვულ დაძაბულობას და ფანტავს შემს.

● **ფიჭვი** – ამშვიდებს, ხსნის ფსიქიურ დაძაბულობას, ხოლო ფიჭვნაში სეირნობა კურნავს ზედა სა-

## მკურნალი ხეები

გარეონს მავნე ფარმაცევტიკული ზემოქმედებისგან დასაცავად საუკეთესო საშუალებაა ჩვენს გარშემო ხეების დარგი. საცხოვრებელ სახლებთან უნდა ვახაროთ მცენარეები, დავრგოთ ხეები, რომლებიც გაანიმუშავებენ ზარგბას და თავიანთი პიოველით დადგენილ გავლენას მოახდენოთ ჩვენზე. უნდა ვიპოვოთ მითოვაული ხესათვის და ისინი მოჭრას გადავარჩინოთ.

სუნთქი გზების დაავადებებს. ფიჭვს მძიმე, მკვრივი ბიოენერგია აქვს, ამიტომ მათთვის, ვისაც გულის ან თავის ტკივილი ანუხებს, ფიჭვნაში სეირნობა რეკომენდებული არ არის.

● **ცაცხლი** – ამ ხის დადებითი ენერგია გა გულჩათხრობილ ადამიანებს გულისნადების გამხელაში ეხმარება. ცაცხლის სამკურნალო თვისებებს ანიჭებს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები, რომლებიც კონცენტრირებულია ყვავილებსა და ყვავილის ფოთლებში. ყვავილებში თავმოყრილია პოლიფენოლები (ფლავონოიდები), ლორნოვანი ნივთიერებები და მცირერაოდენობით ეთეროვანი ზეთი, არომატული მჟავები და ტანინები.

ხალხურ მედიცინაში განსაკუთრებით პოპულარულია ცაცხვის ჩაი, რომელიც დაბლა სწერს ტემპერატურას და აცხრობს ხველას. ცაცხვის ნახარში შესანიშნავად ასუფთავებს ფილტვებს მიკრობებისგან. ცაცხვის ხშირად რთავენ სააფთიაქო ფიტონარევებს შემადგენლობაში, როგორც გრიპისა და გაციების საწინააღმდეგო საშუალებას. ცაცხვის ჩაი შეიძლება მიიღოს ასევე ინგრედიენტების გარეშე, რომელიც ცაცხვის ყვავილებისა და ფესვებისგან არის დამზადებული, ანტიმიკრობული, ანთების საწინააღმდეგო და გამწმენდი მოქმედებით გამოირჩევა.

თუ ანთება გაქვთ, გირჩევთ, ვერხვს ან ალვის ხეს ჩაეხუტოთ. აკაციის ბიოენერგია ადამიანს ახალისებს და

სიმსუბუქეს მატებს. აკაცია უნივერსალური დონორია და იგი ყველას სჭირდება.

● **ცირცელი** – აკაციის მსგავსი ბიოენერგია აქვს, მაგრამ გაცილებით სუსტი.

● **ბროცეული** – კარგი იქნება, თუ მას სახლში ან სახლთან ახლოს გაახარებთ. ის ადამიანის იმუნურ სისტემაზე დადებითად მოქმედებს და სტიმულს აძლევს მას.

● **ლიმონის ხე** – წმენდა ჰაერს, კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე, გვეხმარება არასასურველი გარეგანი ფაქტორების შედეგად დასუსტებული ბიოგელის აღდგენაში.

● **კაძალის ხე** – რაც მეტია ეს მცენარე ჩვენ ირგვლივ, მით უკეთესი. კაძალის ანეიტრალური სამკერავის რადიაციულ ზემოქმედებას. გარდა ამისა, მისი ბიოველი სტიმულს აძლევს ეროვნულ ზონებს. კაძალის უმჯობესია ფანჯარასთან რაც შეიძლება ახლოს განათავსოთ.

გაზაფხული ხეებთან “ურთიერთობისთვის” საუკეთესო დროა. წლის ამ პერიოდში ხეები ილვიძებენ და კარგად ითვისებენ პათოგენურ ენერგიას, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე. შეეხეთ ხეს, როგორც ფეველ მეგობარს, რომელსაც ყველა ფიქრსა და დარდს უზიარებთ, ან, უბრალოდ, დასხელით ხის ძირას და დაკავირდით მისი ტოტების თანაბარ მოძრაობას. თქვენი აღლელებული, აფორიაქტებული გული აუცილებლად დამშვიდდება.

ვალტრა სმარტთანი -  
თქვენს სმარტფონზე  
უფრო მარტივი...

**VALTRA**

YOUR  
WORKING  
MACHINE

**VALTRA SmartTouch -**  
**easier than your**  
**smart phone...**



**reddot award 2017**  
winner



დარღმავალები საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკი

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) info@worldtechnic.ge  
+995 2 90 50 00 +995 2 18 18 81

გელვინი მოწავდეთ  
საშუალოსთვის მრავალფორმან  
ერთეულ!

VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE



MACHINE OF  
THE YEAR 2016



ვიცერი კომპანია ვალტრას  
მე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამუშაო,  
საგზაო-კომუნალური და სამუშაოებო  
სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

ნარევის საქართველო:

WORLD TECHNIC  
სამუშაო  
მეცნიერებები

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge  
+995 2 90 50 00 +995 2 18 18 81

AGCO  
Your Agriculture Company